სახალხო გაზეთი

№ 531 ოთხშაბათი, 22 თებერვალი 1912 წ. № 531

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მოსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის შოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; [illegible] წერილები და კორესპონდენციები სულ არ [illegible] მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესი [illegible]

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29.

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ. **ცალკე № ყველგან 5 კ.**
„ „ თვეში — 75 კ. **დამატებიანი 7 კ.**

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ამით ვაცხადებთ, რომ

„სახალხო გაზეთს"

ხელის მომწერთა შემკრები აგენტები არსად არა ჰყავს გარდა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების **ტფილისის** წიგნის მაღაზიისა და ამიტომ ვიც **პირდაპირ „სახალხო გაზეთის" კანტორიდან არ იწერს გაზეთს—პასუხსაც არ ვაგებთ.** ყველა წიგნის მაღაზიას შეუძლიან მიიღოს ჩვენ გაზეთზე ხელის მოწერა მხოლოდ თავისი პასუხის მგებლობით და ამიტომ ხელის მომწერლებმა პასუხისმგებლობაც მათ უნდა მოსთხოვონ.

1912 წ. **სახალხო გაზეთი** 1912 წ.

ILUSTRATEGIANI DAMATEGA!

მიიღება ხელის-მოწერა

წლიური ხელის-მომწერნი (8 მ. 50 კ.) **მიიღებენ** სალიტერატურო კრებულს **გრდემლს.**

თებერვლიდან წლის ბოლომდე ღირს 8 მან.

ერთი თვით 75 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ **თვის 1 რიცხვიდან,** მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს მიმდინარე 1912 წლისა.

ძმ. ზუბალაშვილების სახელოვნების სახ. სახლი.

ხუთშაბათს, 23 თებერვალს,

ზ. ს. ს. ს. წარ. მმართ. წრის მიერ **ვ. არაბიძის მონაწილეობით** წარმოდგენილი იქნება

1) **მაღარეს უფროსი მუშა,** დრ. 1 მ. თარგ. ნ. გოცირიძისა.

2) **ამენდა საქართველო** სცენა სტ. ცხ. 3 მოქმედებ.

ბილეთების ფასი 5—50 კ.-დე. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

დასაწყისი საღ. 8 ს.

ადმინისტრატორი **ან. ჭიაბერაშვილი.** (3.1006.2) რეჟისორი **ალ. წუწუნავა.**

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 759.

იაფ ფასიანი წარმოდგენა

ხუთშაბათს, 23 თებერვალს

ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილა იქნება

ცნობილი პიესა ალ. სუმბათაშვილისა: **ღალატი,** ისტ. ლეგენდა 5 მოქ. თარგ. გრ. ყიფშიძისა.

მონაწილეობას იღებენ ქ-ნნი: დავითაშვილი, კარგარეთელი, ლეჟავა, ქოლარჯიშვილი, ჩერქეზიშვილი; ბ-ნნი: აბაშიძე, არადელი-იშხნელი, აბდუშელი, გუნია, ყივიძე, ივანიძე, მესხი, მატარაძე, ციციშვილა და სხვ.

ადგილების ფასი დაკლებულია. **დასაწყ. საღ. 8 ს.**

ანონსი: მზადდება: გამცემი, ოტელო და სხვ.

(2.250.1) მორიგი რეჟისორი **კ. მესხი.** **ქართ. დრ. საზოგ. ადმინისტ.**

იბეჭდება და თებერვლის დამლევს გამოვა

ა კ ა ა კ ი-ს

თხზულების პირველი წიგნი,

რომელშიაც მოთავსებული იქნება **ახალი** ნაწარმოები ჯერ დაუბეჭდავ და აგრედვე **ძველიც,** ზოგიერთის შენიშვნებითა და განმარტებით. წინასწარის ხელის მოწერით წიგნი ეღირება **ათ შაურად.**

ხელის-მოწერა შეიძლება ტფილისს:—წერა-კითხვის გამ. საზ. და „ცოდნა"-ს წიგნ. მაღაზიაში; ქუთაისს: „კოლხიდის" რედაქციაში, მთავრიშვილის წიგნის მაღაზ. და კანტ. „იმერეთში". ბათომს—ნ. ა. საბაშვილთან; ფოთს—ი. კოხრეიძესთან; ყვირილას—წიგნის მაღაზიებში. (თ. 1044.27)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტ ე ლ ე ფ ო ნ № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

ინფექციური	**ღამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ.
	დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.
ქირურგიული	**ციქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.
	მაღალაშვილი გ. გ. (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
	მანსვეტაშვილი ვ. მ. (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
	მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
	ფედოროვი ე. გ. (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ქალთა ავადმყ. (ქირურგიული).	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½.
	მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
	ფირადოვი რ. ბ. (ყოველ დღე) 12—1.
ბავშვთა ავადმყ. (ინფექციური).	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.
	მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
	სულაკოვი ა. ი. (ყოველ დღე) 12—1.
	თიკანაძე ი. ე. (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვთა ავადმყ. (ქირურგიული).	**ღამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11½—12 ს.
	მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
	ფედოროვი ე. გ (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ყელ. წყალ. ავად.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11.
	დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.
ყელ. ცხვ. ავად.	**ათენიანეცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2.
	ორემბოვსკი ნ. ს. (ყოველ დღე) 2½—3.
ფილის ავ. ავად.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½.
ფილ. ავ. ავად.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—4½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wass-rman-რეაქციისათვისა 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კაცეტერიზაცია; **„6 0 6" წამლის** შეშაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—1010—274/

უდიდესი იაფი ვაჭრობა

მხოლოდ უკანასკნელი 2 დღე. დღეს და ხვალ 22 23 თებერვალს

პ. ა. დოროშენოვის

მაღაზიებში:

1) **უმთავრესი,** სოლოლაკის ქუჩა, სახლი გურგენოვისა, **ტელეფონი № 583.**

2) **იაროსლავისა,** მიხეილის ქ., ლიუტერანთა ეკლესიის გასწვრივ, **ტელეფონი № 838.**

რადგანაც დიდ-ძალი ყოველგვარი საქონელი მოგვდის,

უდიდეს იაფ ვაჭრობისათვის.

ათივე სპეციალურ განყოფილებიდან **კიდევ დიდ-ძალი საქონელი დაგვრჩა გაუსყიდავი** და ამისათვის გავაგრძელეთ

უდიდესი იაფი ვაჭრობა უკანასკნელი 2 დღე

დღეს და ხვალ 22 და 23 თებერვალს.

მთელის საქონლის გაყიდვისათვის **ფასები ძალიან დაგწიეთ.** აბრეშუმეულისა და შალეულის განყოფილებაში

იაფ ვაჭრობის დროს არსებულ ფასებს კიდევ

დ ა ვ ა კ ე ლ ი თ 20%.

ყველა საქონელზე **გასაოცარი იაფი ფასებია აღნიშნული.**

უზარმაზარ ფანჯრებში **გამოფენილია ნიმუშები:** საზღვაპრო იაფ ფასების აღნიშვნით.

ი ა ფ ვაჭრობის დღეებში ვაჭრობა იწარმოებს დილის 9½—2½ საათამდე და ნაშუადღევის 4 6½ საათამდე.

(3.1114.3) **პ. დოროშენოვი.**

ახალი კლუბი

ოთხშაბათს, 22 თებერვალს,

სინემატოგრაფი

ს. ო. ივანიცკაიასი. **დასაწყ. საღ. 8½ ს.**

სინემატოგრაფის შემდეგ **ი ა ფ ი ლ ო ტ ო. ა ნ ო ნ ს:** შაბათს, 25 თებერვალს, გ. ბ. გვაზავა წააკითხავს ქართულ ენაზე ლექციას: **„საზოგადოება, როგორც ორგანიზმი".** (1.1119.1)

საჩქაროდ იყიდება

ძლიერ იაფად ბიბლიოთეკა

უმთავრესად საქართველოს ისტორიის შესახებ. 80 წიგნია სხვა და სხვა ენაზე. შეიძლება ნაწილად და ცალკე წიგნებადაც. იკითხეთ ყიფიანის ქუჩაზე, სახლი № 16, **ს. კაკაბაძის ბინა,** 4—6 საათამდე. (1.1121.1)

დუშეთის მაზრის თავად-აზნაურთა

წ ი ნ ა მ ძ ღ ო ლ ი

სთხოვს დუშეთის მაზრის თავად-აზნაურობას, მობრძანდნენ **26 თებერვალს, შუადღის 12 საათზე, ქ. დ უ შ ე თ შ ი**

თ.-აზნაურთა ჩვეულებრივ საკრებულოზე

დასასწრებლად **სამხედრო საკრებულოს დარბაზში.**

ის თავად-აზნაურნი, რომელთაც საარჩევნო და თავად-აზნაურთა საქმეში მონაწილეობის ცენზი აქვთ, კეთილ ინებებენ და წარმოადგენენ ამის დამადასტურებელ საბუთებს. (2—1111—2)

გამოვიდა და იყიდება

ქართ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნის მაღაზიაში

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების

სალიტერატურო კრებული

„გრდემლი"

ფასი 1 მ. 50 კ. (თ.1098.12)

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. გ. გ. მეგრაბიანეცი

წამლოგა ჭლექისა ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, № 10 ტელეფ. 792. (თ. 100—1534—95)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორდანოვის ქ., № 20. (წ. 1249 80).

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა. (უ)

დოქტორი მედიცინისა

ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მახდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5--7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩინაძისა. ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1591 109)

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.

(წ. 1147 240)

გ ა მ ო ც დ ი ლ მ ა

მასწავლებელმა

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საბებია ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის.

აგრედვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და **მიწის მზომელთა** სასწავლებლისთვის, **სამოქალაქო** და **სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინისთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

იღებს პირობებით. მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეიტანებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1. входъ съ подъѣзда, нижній звонокъ, спросить учителя.

А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памятн. Воронцову).

(თ. 1084.93)

ექიმი კ ბ ი ლ ი ს ა ნინო რაზილაძე

მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის **შესახ. № 5.**

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

. ბა. ბოპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11 ½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრედვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლოგა „606"

(წლ. 1090 277)

ექიმი ე. ი. მინასიანეცი

შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1967. (100—1117—101).

ექიმი დ. სურამში

აპოლონ ლუკას ძე

ტ ყ ე მ ა ლ ა ძ ე

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღეს. (თ.—125—7)

ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.--6½ საათ. კახეთის ქ., №

ექიმი კ ბ ი ლ ი ს ა ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5--7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

ექიმი პ. არდაზიანი

შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ.. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი--ქარები). ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9--12 ს. საღამოს 5--7. (25.899.50).

ექიმი ვ. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9--11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

ექიმი ე. ვ ა შ ა კ ი ძ ე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი 5--7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9—48).

ექიმი ი. ი. ბ ე რ ი შ ვ ი ლ ი

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.

მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედის ქ.,** № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—249—3)

ქართული პრესა

ქუთათურ „ცხოვრებას", როგორც მოსალოდნელი იყო, ჩვენი მეთაური სახელმწიფო სათათბიროსა და ჩვენს დეპუტატების შესახებ არ მოეწონა. რასაკვირველია არ მოეწონებოდა, როდესაც პირდაპირ და გადაჭრით ვუთხარით, რომ ჯერ საქართველოს სახელმწიფო სათათბიროში ქართველ ერის ინტერესების დამცველი დეპუტატები არა ჰყოლია. მოწონება იმის საქმეა, მაგრამ იმას კი მოვითხოვთ, რომ ჩვენი ნათქვამი გარკვევითა და დაუმახინჯებლად გააცნონ მკითხველებს. „ცხოვრებას" კი ისე გაუგია ჩვენი სიტყვები, რომ შესაძლებლად დაუნახავს ასეთ წარბშეუხრელ სიცრუით სავსე დასკვნის გამოტანა:

„სახალხოელების ნაციონალიზმს მოკლებული მოქმედება" ნამდვილად **არ** განირჩევა „მპყრობელ ერის" ნაციონალიზმისაგან" ნაციონალიზმის შეგნება ყველგან თითქმის ერთნაირია და განსხვავება მხოლოდ ზერელეა.

რასაკვირველია! აი, მაგალითად, ფინლანდიის ავტონომიის მომხრენი და პურიშკევიჩი ერთი და იმავე პოლიტიკურ მრწამსის დამცველები არიან. ირლანდიის ავტონომიის დამცველები სრულიად არაფრით განსხვავდებიან ტიმოშკინისაგან. მათ შორის ისეთი „ზერელე" განსხვავებაა, რომ ვერც კი შეიძლება წარმოიდგინოს ადამიანმა, სად თავდება გლადსტონი, პარნელი და სად იწყება პურიშკევიჩი და ტიმოშკინი. მეტის-მეტად ცხადია მსგავსება ამ ორ-

ნაირ პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის, მაგრამ „ცხოვრებას“ მაინც საჭიროდ მიაჩნია, ცოტა საბუთებიც მოიყვანოს იმის დასამტკიცებლად, რომ ის, ვინც, მაგალითად, ფინლანდიის ავტონომიის საჭიროებას აღიარებს, არაფრით განსხვავდება ამ ავტონომიის მოსისხლე მტრის პურიშკევიჩსა და ტიმოშკინისაგან. აი საბუთებიც:

ყველამ კარგად უწყის, თუ როგორ გასთელეს ფეხ-ქვეშ ამას წინად ეროვნული უმცირესობის ინტერესები პოლონეთის დეპუტატებმა სათათბიროში. ეს ჩვენი მამულიშვილების სათაყვანო (?) რაინდები წინააღუდგნენ ებრაელების სამართლიან მოთხოვნილებებს. თვით პოლონეთში მათი თანამოაზრეები ჯვაროსნულ ომს ეწევიან იმავე ებრაელების წინააღმდეგ, და ასე წარმოიდგინეთ, პოლონეთში ცხოვრების უფლებაზეც კი ედავებიან. ეს ვაჟბატონები საერთო საკითხებით მაინცა და მაინც თავს არ იტკივებენ და ყოველთვის „ადგილობრივის“ დამცველებად გამოდიან იმ სახით, რა სახითაც ეს ალბად (?) „სახალხო გაზეთელებს“ უნდათ.

„ცხოვრები“-ს პუბლიცისტები დაჩვეულნი არიან ზეპირად ისტორიის წერას. მოშლილი წისქვილივით დაიწყებენ რახუნს და ერთხელაც არ ჩაუფიქრდებიან თავიანთ ნაწერს. აი, ეხლაც, პოლონეთის დეპუტატები ებრაელების წინააღმდეგ იყვნენ, და ამიტომ... „სახალხო გაზეთსაც“ **ალბათ** ასე ენდომებათ საბუთი? „სახალხო გაზეთმა“ თავის დროზე გამოსთქვა თავისი აზრი და დაჰგმო პოლონელ დეპუტატების საქციელი, მაგრამ ალბათ... „ცხოვრება“-ს დაავიწყდა ეს ამბავი. გაზეთი იგონებს ტფილისის საქალაქო არჩევნებს, მაგრამ ალბათ აქაც დაავიწყდა ჩვენი პოზიცია, დაავიწყდა, რომ ჩვენმა გაზეთმა დაჰგმო გოთუასა და კამპანიის მოქმედება.

ყველაფერი ავიწყდება ხოლმე „ცხოვრება“-ს, როდესაც პოლემიკის ქავილი აუტყდება.

სამაგიეროდ ჩვენც ერთი რამ არ გვავიწყდება—რომ კუზიანს მარტო სამარე გაასწორებს. ამიტომ დიდ კამათს აღარ გაგიბამთ და ერთხელ კიდევ ვიტყვით, რომ საქართველოს ჯერ რუსეთის საკანონმდებლო დაწესებულებაში დეპუტატი არა ჰყოლია და არც ეყოლება ამ დროამდე, სანამ ჩვენს საზოგადოებაში უვიც ფანატიკოსების ადგილის საღი აზროვნება არ დაიჭერს.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

„.-პეტერბურგსკია ვედომოსტში“ დაბეჭდილია **ნ. დურნოვოს** წერილი რუსეთის ეკლესიის თაობაზე. დურნოვო უკმაყოფილოა, რადგან 1911 წელს რუსეთის ეკლესია ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო და ამის მიზეზი სინოდიაო. პეტრე დიდს შემდეგ რუსეთის ეკლესია უსაქმობას შეეჩვია, მარტოოდენ მთავრობის იმედი აქვს და ამის გამო ქრისტიანობას ბევრი ხალხი ჩამოჰშორდაო. შემდეგ დურნოვო იხსენიებს ქრისტიანობიდან სხვა სარწმუნოებაზე გადასვლის მიზეზს და სხვათა შორის ამბობს:

„მრავალ ტანჯულ ქრისტეს ჯვრის მატარებელ ქართველთა და მოლდავთა ეკლესიების დევნა გაძლიერდა ეხლანდელ რუსის იერარხების დროს ტფილისსა, კიშინიოვსა და ისმაილში. ისინი, ვინცა სჩივიან, რომ რუსეთის მართლმადიდებლობას უცხოელნი სჩაგრავენო, თვითონ მართლმადიდებელ „ინოროდცებს“ ბევრად უფრო ძლიერად სჩაგრავენ, ვიდრე პაპისტები ხოლმშჩინის რუსებს.

მხოლოდ ორ წელიწადში საქართველოს ეპარხიასმა ქართველებს არა ორი და სამი ეკლესია ჩამოართვა და საშუალება მოუსპო მშობლიურ ენაზე ღვთის ვედრებისა. ქართველების საჩივარს სინოდმა ყურადღება არ მიაქცია. სახელმწიფო სათათბიროს და საბჭომ სარწმუნოების კანონთა გამოცემის დროს ეს გარემოება არ უნდა დაივიწყონ, რადგანაც არა არის რა სულის დაჩაგვრაზე უფრო მძიმე და გულდამწველი. იმაზე სამწუხარო როდესაც ერს უკრძალავენ ლოცვასა და როდესაც, მაგალითად, ახალგაზდა ქალები იძულებულნი არიან აღსარება ჯარისკაცად ნამყოფის თარჯიმანობით უთხრიან“.

როგორც თვითონვე სწერს, დიდი იმედი ჰქონია ნ. დურნოვოს სინოდის ახალის ობერ-პროკურორისა. მაგრამ იმასაც ვერაფერი გაუწყვია. ზოგიერთებს სრულიად რუსეთის საეკლესიო კრების იმედი აქვთ, მაგრამ საკითხავია, შეიძლება კი იგი მოხდეს, ასეთ დაკნინებულ იერარხიის დროსაო, ამბობს ავტორი.

* * *

„ს.-პეტერბურ. ვედომ.“ ვინმე **პრავოსლავნი** ეხება სასულიერო წოდების ნივთიერ უზრუნველ ყოფას და ამბობს:

„სამღვდელოების უზრუნველყოფა ძნელი არ არის, მაგრამ ამისათვის სასწრაფო როდია ხაზინის ძალმე ტვირთად დავაკისროთ ყოველ წლივ 10 მილიონ მანათის გადადება. ეს ხარჯი ხომ თვითონ ხალხს დააწვება უტანელ ტვირთად და ზარმაც სამღვდელო პირთაც კაკმრავლებს. იგი ხალხსა და ეკლესიას დააშორებს, ვინაიდან ეკლესია არის თვით ხალხი, ხოლო სამღვდელოება—მისი მსახური. მრევლს დაუბრუნე“ მისი უფლებანი, მიეცით ნება, თვითონვე ირჩევდეს თავისთვის მოძღვარს, გზა გაუხსენით ხალხს სეკლესიო ქველმოქმედებისათვის და მაშინ ხალხი თვითონ უზრუნველყოფს თავის მოძღვარს, თვით მრევლი დაუნაშავს მათ ჯამაგირს.

მაშინ მღვდლებიც აღასრულებენ საქმესა მღვთისას და არა პოლიტიკურს. მაშინ არც სახელმწიფო სათათბიროში გვეყოფება ისეთი ხუცესნი, რომელთაც სადეპუტატო ჯამაგირის აღებისათ, ეკლესიის საჭიროებას დავიწყებას აძლევენ“.

სახელმწიფო სათათბირო

დეპეშები.

თ-დი ვოლკონსკი თავმჯდომარეობდა განსახილველია შაქრის ქარხანათა გასაძლიერებლად ზოგიერთ ზომების შემომღები კანონპროექტი.

მომხსენებელი სინადინო შეეხო რუსეთის შაქრის წარმოების ისტორიას და შემდეგ სათათბიროს გააცნო პროექტის დებულებანი, რომლითაც შაქრის ქარხნებს ნება მიეცემათ ნორმას გარდა 145 ათას ფუთ შაქრის ბაზარში გამოტანისა. ახლად დაარსებულ ქარხნების ჩვეულებრივი წარმოება უნდა შეადგენდეს 280 ათას ფუთსა. სააქციო ამხანაგობას ნება ეძლევა ათას მანეთიან აქციებს გარდა 250 მანეთიანიც გამოსცეს. შაქრის გაიაფებისათვის ფინანსთა მინისტრს ნება ეძლევა 1915 წლის პირველ იანვრამდე შაქრის ფხვიერი სახაზინო არყის დუქნებში გაჰყიდოს სოფლად და ამისათვის სამი მილიონი უნდა გადაიდოს. შემდეგ საჭიროა შაქრის სააქციზო გადასახადს ფუთზე 75 კაპ. მოაკლდეს. მომხსენებელი იმედს გამოსთქვამს, რომ სათათბირო მიიღებს პროექტსა და რუსის ხალხს ექსპლოატაციისაგან დაიფარავსო.

სამეურნეო კომისიის მომხსენებელი კაპნისტი მოითხოვს, საჭიროა ზომების მიღება ხელოვნურად შაქრის გაძვირების წინააღმდეგაო.

ფინანსთა მინისტრის თანაშემწე ნოვიცკი თანახმაა სახაზინო არყის დუქნებში შაქრის გაყიდვისა, მაგრამ წინააღმდეგია სააქციზო გადასახადის შემცირებისა. გადასახადის შემცირება 22 მილიონს ზარალს მოუტანს ხაზინასაო. ფხვიერის სააქციზო გადასახადი რო შევამციროთ, საჭიროა მსხვილი საკონსეციო შაქრის გაყიდვის გაუქმებაო.

კაპნისტს, საკმაოდ მიაჩნია შაქრის ფხვიერის გადასახადის მოსპობა.

მინისტრის თანაშემწე ნოვიცკი კუტლერს უპასუხებს და აღნიშნავს, ეხლა შეუძლებელია ხაზინამ 50 მილიონი გასწიროს აქციზის შემცირებითაო. სახელმწიფო დიდს ხარჯს მოითხოვს ამ ახლო დროში და ამის გამო შეუძლებელია ქვეყნის ერთის წუთის კეთილდღეობისათვის ამისთანა ნაბიჯის გადადგმა. ამიტომ მინისტრის თანაშემწე წინააღმდეგია სააქციზო გადასახადის შემცირებისა.

აგრედვე უდროოდ მიაჩნია სააქციზო გადასახადის შემცირება **კონდიაკოვსა.**

გულკინი. გადასახადის შემცირება ხოლოდ მემამულეებსა და ყალბ ღვინის დამამზადებელთ ასარგებლებსო.

შეიდმანი კუტლერის აზრს იცავს. **კროპოტოვი** სააქციზო გადასახადის სრულიად მოსპობას მოითხოვს.

კაპუსტინი თავმჯდომარეობს.

ბარონი ჩერკასოვი თვით მომხსენებელმაც არ იცის, რა ზარალი მოუტანა ხაზინას სააქციზო გადასახადის შემცირებით. ამისთანა პირობებში შეუძლებელია საკითხის ასე ადვილად გადაწყვეტა...

მარკოვი მე-2 მომხრეა სააქციზო გადასახადის შემცირებისა და დასძენს, საჭიროა მთავრობამ დიდი ქარხანა გამართოს და შაქრის მაზანდის საქმე როგორმე მოაწესრიგოსო.

ბერეზოვსკი მე-2 ბარონ ჩერკასოვის აზრს იცავს. შემდეგ ეხება სახაზინო დუქნებში შაქრის გაყიდვას და აღნიშნავს, ლოთობა გაძლიერდება და მის წინააღმდეგ ბრძოლის კანონ-პროექტი არარად იქცევაო.

პახალჩიკი მომხრეა საფინანსო კომისიის რედაქციისა და მოითხოვს, გარდა სახაზინო არყის დუქნებისა, სოფლის ამხანაგობებსაც ნება უნდა მიეცეთ შაქრის გაყიდვისაო.

მომხსენებელი სინადინო იცავს კომისიის რედაქციას. პროექტის სწრაფ-განხილვის საჭიროება უარჰყვეს 148 ხმით 51 წინააღმდეგ. გადასწყვიტეს მუხლბრივ განხილვა.

ძიუბინსკიმ „შრომის ჯგუფელთა“ სახელით შეიტანა შესწორება და შაქრის ყოველგვარ გადასახადის მოსპობა მოითხოვა.

კოვალენკო პირველი. სააქციზო გადასახადს პირველ წელიწადს ორი აბაზი დავაკლოთ და შემდეგ წლებში თითო აბაზიო.

სათათბირომ გარდა სამეურნეო კომისიის შესწორებისა, ყველა უარჰყო და 186 ხმით 53 წინააღმდეგ და სააქციზო გადასახადსა 1 ფუთ შაქარზე ერთი მანეთი დააკლო. უკამათოდ მიიღეს კანონ-პროექტის მესამე განყოფილებით შაქრის მრეწველებს ნება ეძლევათ. 250 მანეთიან პაიების გამოცემისა, მეოთხე ნაწილი ეხება სახაზინო არყის დუქნებში შაქრის გაყიდვასა.

მინისტრის თანაშემწე ნოვიცკი. ფინანსთა სახაზინო არყის დუქნებში შაქრის გაყიდვა სამინისტროს არ მოუთხოვნია, ეგ პროექტი საფინანსო კომისიამ შემოიტანა, სათათბიროში ნალაპარაკევს მთლად რუსეთი ისმენს და აქ ტყუილი და სიცრუე არ უნდა ითქმოდეს.

ჩელიშევი. მინისტრს უკანასკნელ სიტყვების გამო უპასუხებს და ამბობს, მაგისთანი სიტყვას (სიცრუე) მთავრობის წარმომადგენელი კი არა, უკულტურო პოლონელი თუ წარმოსთქვამსო (მემარჯვენეთა ყვირილი: „ძირს, ძირსო!“

თავმჯდომარე როძიანკომ ჩელიშევს უთხრა: სამწუხაროდ ვერ მოვახერხე მინისტრის თანაშემწის სიტყვის დროს „ნაკაზის“ 143 მუხლისთვის მიმემართნა, მაგრამ თქვენს სიტყვას კი დავგმობ და წესიერებისათვის მოგიწოდებთო. ჩელიშევმა სიტყვა დაასრულა.

სინადინო იცავს საფინანსო კომისიის წინადადებას. მეოთხე განყოფილების პირველი მუხლი სათათბიროს უარჰყო, 167 ხმით 66 წინააღმდეგ. პირველი მუხლის უარყოფის გამო მეოთხე და შემდეგი განყოფილებანი ძალასა ჰკარგავს.

ოპოზიციამ მოითხოვა, მომავალ სამ სხდომაზე, ხოლმშჩინის გამოყოფის მაგივრად დღეს განსახილველ საკითხები განვიხილოთო. წინადადებას იცავდნენ **მასლენიკოვი და უვაროვი**, წინააღმდეგნი იყვნენ **ლერმოხე** და **შულგინი** მე-2. უკანასკნელათ აღნიშნეს, წინადადების ავტორებს ალბად ჰსურდათ მემარჯვენეების დაუსწრებლობით ესარგებლათო.

კენჭის ყრით წინადადება უარჰყვეს 143 ხმით 99 წინააღმდეგ.

შემდეგი სხდომა ოთხშაბათს მოხდება.

სახელმწიფო საბჭო

აკიმოვი თავმჯდომარეობს. ადგილობრივ სასამართლოს განახლების კანონ-პროექტს იხილავენ.

ნარიშკინი. 30 წელიწადია, რაც თვალ ყურს ვადევნებ მომრიგებელ მოსამართლეთა და საერობო უფროსების ცხოვრებას. უკანასკნელნი არა ნაკლებად ასრულებენ თავიანთ სამოსასართლო მოვალეობას, ვიდრე პირველნი მიუხედავად იმისა, რომ მათ აწევს აგრედვე საადმინისტრაციო მოვალეობანიც. მოლაპარაკეს აზრით ადგილობრივი სასამართლოს რეფორმა ჯერ-ჯერობით უნდა გადაიდოს.

ოფროსიმოვი. საერობო უფროსთა ინსტიტუტს იცავს. კანონ-პროექტით განზრახული არჩეული მოსამართლენი უკეთესნი არ იქნებიან, ვიდრე მინისტრის მიერ დანიშნული საერობო უფროსები. უმჯობესია დავიცვათ ძველი დაწესებულებანი, ხოლო მათი ნაკლი გავასწოროთ.

თავმჯდომარე რამდენჯერმე აჩერებს მოლაპარაკეს და სთხოვს: ნუ იმეორებთ იმას, რაც სხვებმა უკვე სთქვესო. ოფროსიმოვის სიტყვის დასრულების შემდეგ **თავმჯდომარე** აცხადებს: სამწუხაროა, რომ სახელმწიფო საბჭო, რომელიც დატვირთულია მრავალი საქმეებით, უბრალოდ ხარჯავს დროსო. მას წინადადება შემოაქვს: მოლაპარაკეთა რიცხვი განვსაზღვროთო.

წინადადება მიიღეს.

თ-დ ობოლენსკის აზრით საერობო უფროსთა ინსტიტუტი უნდა გაუქმდეს, რადგანაც უმჯობესია თუ საადმინიხტრაციო ფუნქციებს მომრიგებელ მოსამართლეთ მივანდობთ. ეს სრულიად არ შეუშლის ხელს მათ მიერ მართმსაჯულების აღსრულებასაო. სათემო სასამართლო კი უსათუოდ უნდა დავტოვოთო.

დურნოვო ითვალისწინებს საერობო უფროსთა მოქმედებას და ამტკიცებს, მათ დიდი ღვაწლი მიუძღვით სახელმწიფოს წინაშე. მართალია სამოსამართლო ნაწილში შეცდომები მოსდით, მაგრამ ძველი მომრიგებელი მოსამართლენიც სცდებოდნენ ხოლმეო. მოლაპარაკეს აზრით, მომრიგებელნი მოსამართლენი უფრო ცუდად წაიყვანენ საქმეს, ვიდრე საერობო უფროსები, რასაც შედეგად ის მოჰყვება, რომ განზრახულ რეფორმაზე 20 თუ 30 მილიონი დაიხარჯება, სოფელში სრული უთავბოლობა დამყარდებაო. დურნოვო უერთდება სტაშინსკის აზრს.

გოვორუხო-ოტროკის აზრით მომრიგებელი მოსამართლე ვერასოდეს ვერ გასწევს საერობო უფროსის მაგიერობას, რადგანაც მოსამართლე მართლ-მსაჯულების ორგანოა, საერობო უფროსი კი მართველობისაო. ორატორი საერობო უფროსთა მდგომარეობის გაუმჯობესობას მოითხოვს.

იუსტიციის მინისტრი. თუ დურნოვოს მიერ არჩეულ გზას დავადგებით, გლეხების მდგომარეობა მართლაც, რომ შემაძრწუნებელი იქნება. ნუ დაივიწყებთ, რომ 1910 წლის 14 ივნისის და 1911 წ. 29 მაისის კანონების გამოქვეყნების შემდეგ „სახუტორო“ მეურნეობა წარმოიშვა; ამისათვის შეუძლებელია, რომ გლეხების კერძო საკუთრების პირადის უფლებანი უყურადღებოდ დატოვება. 1889 წლის 12 ივლისის კანონი იმ დროს წარმოიშვა, როდესაც სოფელში ჯერ კიდევ მესაკუთრე გლეხები არ იყვნენ; დღეს კი სულ სხვაა. კანონმდებელი თუ კერო საკუთრების გავრცელებას ცდილობს, მან ამ საკუთრების დასაცავი ზომებიც უნდა შეიმუშაოს. უეჭველია, უნდა დაარსდეს ადგილობრივი სამოსამართლო ინსტანცია, რადგანაც საერობო უფროსთ არ ძალუძთ უძრავ ქონებათა შესახებ აღძრულ საჩივარის გარჩევა. თვისი აზრის დასამტკიცებლად მინისტრს მოჰყავს ცნობა, რომელშიაც ნათქვამია:

1911 წლის 1 დეკემბრამდის ორმოც გუბერნიაში 2.653,063 სახლის პატრონთაგან იქმნა შეტანილი განცხადება მიწაზე უფლების განმტკიცებისა, ხოლო აქტი მიღებია მხოლოდ 1.763.316.

კამენსკი მომრიგებელ მოსამართლეთ თავმჯდომარეობით კოლეგიალურ სასამართლოს დაარსებას მოითხოვს, ნაცვლად სათემო სასამართლოისა!

ნიკოლსკი იუსტიციის მინისტრის აზრს ემხრობა. სხდომა დროებითი შესწყვიტეს.

სხდომის განახლებისას **რტიშინსკი** იუსტიციის მინისტრს უპასუხებს.

საერთო კამათი დასრულდა.

საბჭომ 92 ხმით, 45 წინააღმდეგ, დაადგინა საერობო უფროსებს სამოსამართლო ფუნქციები ჩამოერთვას.

ხმის უმრავლესობით გადასწყდა: სათემო სასამართლონი კვლავ დასტოვონ.

შემდეგი სხდომა 22 თებერვალს მოხდება.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **კავკასიის ნამესტნიკს წარუდგა** 20 თებერვალს ქუთაისის ვიცეგუბერნატორი ა. ა. მარკაროვი.

✦ **წვრილი კრედიტის** სამმართველომ ნება დართო, გაიხსნას საკრედიტო ამხანაგობანი გორის მაზრის სოფლებს ლამისყანასა და კასპში. პირველს ამხანაგობას ძირითად თანხად ორასი თუმანი მიეცემა, ხოლო მეორეს—ასი თუმანი.

✦ **მხატვარ კოტე ქავთარაძის უკანასკნელი სურათები** ამ ჟამად ქართულ თეატრის ფოიეში გამოკიდული.

✦ სახელმწიფო სათათბირომ დაადგინა, რომ რუსეთის შინაურ ბაზარზე **შაქარზე** დაწესებულ გარდასახადს ფუთზე 1 მანეთი დაუკლონ.

✦ 15 თებერვალს პეტერბურგში მოხდა სრულიად რუსეთის მეღვინეობისა და ღვინის ვაჭრობის წარმომადგენელთა კრება. კრებას, სხვათა შორის მოხსენდა მევენახეობისა და ღვინის დაყენების საქმის მდგომარეობა კავკასიაში. კრებამ სასარგებლოდ სცნო, რომ კავკასიაში დაგეგმილ ვენახების გაშენებას და დასავლეთის ჯიშის ვაზის შემოტანას ხელი შეეწყოს.

✦ **რედაქციამ მიიღო** სამეურნეო ჟურნალ **„მოსავალი“-ს** მესამე ნომერი, რომელშიაც საგულისხმო წერილებია: **ა. რუსიშვილისა**, ჩვილი ხბოს მოვლა, **გ. თაქთაქიშვილისა**—ხეხილი, **გ. ნახუცრიშვილისა**—ხეხილის გასხვლის სხვა და სხვა დანიშნულება, პროფ. გერნისა—კვება და საკვები, თესლეულობის უცხოეთიდან შემოტანა და სხვა.

ს. ქვარიანის თხზულება: „ქართველი ერის ტრაგედია მე-17-ტე საუკუნეში“ (გიორგი საკაძე და მისი დროს.) რაჟდენ დათეშიძის გამოცემა, ღირებული ორ აბაზად.

ს. გლახაშვილის სამ მოქმედებიანი დრამა „დაღი“, ღირებული ერთ აბაზად.

✦ სახლის დამქირავებელთა და სახლის პატრონთა საზოგადოების საგანგებო კრება დღეს მსჯელობას იქონიებს **იაფ ბინების** მოწყობის თაობაზე.

✦ გუშინ ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო ჰოლიციამ კიდევ **15 მეპურეს** შეუდგინა ოქმი.

✦ **თავის მოკვლა.** 20 თებერვალს სამხედრო სასამართლოს მწერალმა (ჯარის კაცმა) რევოლვერით თავი მოიკლა. მიზეზი არ იციან.

✦ **უეცრად გარდაიცვალა** ვორონცოვის ქუჩაზე, ღვინის სარდაფში გიგო გოდერძაშვილი.

✦ **პანაშვიდი,** 18 თებერვალს დიდუბის ეკლესიის გალავანში დ. ზ. სარაჯიშვილის სულის მოსახსენებლად პანაშვიდი გადაიხადა ბერმონაზონმა დიმიტრიმ, რომელიც ხირსის წმ. გიორგის მონასტრის წინამღვარად დაინიშნა.

✦ **ქალაქის გამგეობის კანტროლმა აღმოაჩინა,** რომ ყასბები სააკოვი და ოჰანეზოვი ფარულად ჰკლავდნენ კამეჩებს და კამეჩის ხორცს ძროხის ხორცის ნაცვლად ჯარს აძლევდნენ.

✦ **მიწად-მოქმედებისა და მიწად-მოწყობის რწმუნებული** პ. პ. არქიპოვი პეტერბურგს გაიწვიეს იმ კომისიაში მონაწილეობის მისაღებად, რომელმაც უნდა განიხილოს საკითხი მუღანის ველზე კერძო პირთა დასახლების შესახებ. ბ-ნი არქიპოვი პეტერბურგს დღეს მიემგზავრება.

✦ 20 თებერვალს ტფილისში 43 უპასპორტო შეიპყრეს.

საზოგადოებანი და კრებები

✦ **კავკავში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების** საბჭოს კრება 20 თებერვალს მოხდა გრაფინია ე. ა. ვორონცოვ-დაშკოვის თავმჯდომარეობით. საბჭომ განიხილა მორიგი კითხვები.

✦ **კომისიებში.** დღეს მოხდება ქალაქის საბჭოს საუნივერსიტეტო და სასკოლო კომისიების კრება.

✦ **ქალაქის საბჭოს** მორიგი კრება 20 თებერვალს მოხდა ა. ი. ხატისოვის თავმჯდომარეობით. საბჭომ მოისმინა [illegible] ხელმძღვანელობა იმის შესახებ, რომ დახმარება იეცეს ქალაქის [illegible] ოჯახებს. [illegible] მსახურთ: აროუთინ ხალათოვსა, სააკოვანესიანცსა, გრიქორ მარქაროვსა და ვართან გრიქოროვსა და დაადგინა: ეს საკითხი გადაეცეს ქალაქის პენსიებისა და დახმარებათა აღმოჩენის საქმის გამგე კომისიასა. მოსკოვში პირაგოვის სახელობის სახლის ასაგებად საბჭომ 100 მან. გადასდო. დასასრულ საბჭომ დაადგინა: მისცეს ნება თამბაქოს ქარხნის მეპატრონეს ა. ა. ენფიანჯიანცს, თავის ხარჯით ტფილისის ქუჩებზე ასი სკამი დასდგას და ზედ თავის ქარხნის განცხადება დაწეროს.

✦ **ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისიის** კრება 25 თებერვალს მოხდება. კრებაზე მოწვეულ იქმნებიან ქალაქის სკოლების მასწავლებელნიც.

✦ **მომხმარებელ საზოგადოების „მომავალი“-ს** გაგგეობის კრება დღეს, საღამოს 8 საათზე მოხდება ნაძალადევში მაღაზიის გახსნის თაობაზე.

სასამართლო

✦ **ტფ. ოლქის სასამართლოს სესია** შუალავერს გაემგზავრა, სადაც 26 თებერვლამდე დაჰყოფს.

ქუთაისი.

✦ სასულიერო მთავრობის უწყებაში მყოფ საქართველოს სასწავლებლების სარევიზიოდ პეტერბურგიდან 18 თებერვალს დილის 8 საათზე **ქუთაისში ჩამოვიდა ობერ-პროკურორი სავაიტსკი.**

✦ ამ დღეებში **ჭიათურის შავიქვის მრეწველთა საბჭოს გამგეობა**—განიხილავს საკითხს ღარიბ მოსწაკლეთა სტიპენდიების საქმეს.

✦ სამშაბათს, 21 თებერვალს ქუთაისის საოლქო სასამართლოს სესია გაემგზავრა **დ. საჩხერეში.** სასამართლოს საჩხერეში ექვსი სხვა და სხვა საქმე აქვს გასარჩევი.

✦ ხონელებს განუზრახავთ გაიყვანონ **ტელეფონი ქუთაისიდან ხონამდე.** ქუთაისის მაზრის უმფროსს დახმარების აღმოჩენა აღუთქვამს ხონელებისათვის.

✦ ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების **სამტრედიის განყოფილებასთან არსებულ სახალხო წარმოდგენების სექციას** დაუდგენია ყოველ კვირა თითო წარმოდგენა გაჰმართოს,

✦ დაბა-სოფლებიდან გვაცნობებენ: სიმინდის ფასმა საგრძნობლად აიწია, თუ წინათ ფუთი 50 - 60 იყიდებოდა, დღეს ის 80 - 90 კაპიკად ფასობს.

✦ **ქუთაისის ქალაქის საბჭომ** 17 თებერვალს დაამთავრა 1912 წლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა. სავარაუდო თანხა 381,216 მან. უდრის.

✦ **ქუთაისის ქალაქის გამგეობა,** საკმაო მთავრობა 1912 წლის ხარჯთ აღრიცხვას დამტკიცებდეს, ისარგებლებს შესავალ-გასავალის ანგარიშების საწარმოებლად 1911 წლის ხარჯთ-აღრიცხვით. („ცხოვრ.“)

საჭიროა ახლავე დახმარება

(კავკასიის ჭლექთან მებრძოლ საზოგადოების საყურადღებოდ)

როცა ხალხი ეკონომიურად წელში გატეხილია, გონებრივად დაჩიავებული, ყოველი სენი ადვილად იდგამს ფესვს მის შორის, ეთვისება, ესისხლხორცება. კაცობრიობის უსაშინელესი მტერი—ჭლექი—მოედო ხალხის მასას. ყოველწლიური სტატისტიკა გვიჩვენებს, როგორი ელვის სისწრაფით იზრდება ეს სენი. იგი შეიპარა მდიდართა სრა-პალატებში, შეძვრა სკოლაში, ყაზარმაში, ქარხანაში, სიცოცხლის წყარო ჰპოვა ღარიბთა ქოხმახებში, მოედო ქალაქს, მოედო სოფელს, დღითი-დღე უფრო და უფრო ითრევს თვის საზარელ კლანჭებში ნორჩ, სიცოცხლით სავსე ახალგაზრდობას, იზრდება. წინად თუ იშვიათად შეხვდებოდით ჭლექიანს, ეხლა ყოველ ფეხის გადადგმაზე ათობით და ოცობით შეხვდებით ჩამოყვითლებულს, გამხმარს, სიკვდილის ბეჭედ დასმულ ბავშვს, ახალგაზრდას, მოხუცს. ხშირი არ არის ოჯახი, რომ ამ სენით შებორკილი ავადმყოფი არა ჰყავდეთ. უფრო საშინელი ისაა, რომ დღემდე ამ სენის საწინააღმდეგო ნამდვილი საშუალება ვერ გამოუგონიათ. მეცნიერება იმტვრევს თავს, იგონებს სხვა და სხვა ტუბერკულინებს, მაგრამ ცდა ცდადვე რჩება და ჭლექის პაწაწკინტელა, უჩინარი ბაცილები დღესასწაულობენ.

აქნობამდის თვითეული ჩვენთაგანი, ვიდრე ჩვენი ოჯახი დაცული იყო ამ საშინელებისაგან, გულგრილად შეჰყურებდა ცხოვრების სიდუხჭირის სამსხვერპლოზე როგორ ნელი ცეცხლით იწოდა ჩვენი მოძმე, მაგრამ მისი აჩრდილი ჩვენც წარმოგვადგა და თვალი მოვიფშვნიტეთ, გამოვფხიზლდით. საზოგადოებამ გადასწყვიტა საერთო ძალით ბრძოლა ამ სენს და თუ სულ ვერა, ცოტათი მაინც შეამციროს ამ მსხვერპლთა რიცხვი. რუსეთის თითქმის ყველა ქალაქებში დაარსდა ჭლექთან მებრძოლი საზოგადოებანი. ასეთივე საზოგადოება დაარსდა ტფილისშიაც, რომლის ყურადღებასაც მივაქცევ დღევანდელ ჩემს წერილს. ფრიად სიმპატიურია ამ საზოგადოების მიზანი. რაა იმაზე უკეთესი, რომ განსაცდელში მყოფ მოძმეს ხელი გაუწოდო, უშველო?!. მაგრამ საქმე მიზანის დასახვა ხომ არ არის, სიტყვას აცხოვლებს საქმე, უამისოდ იგი ჰაერში რჩება, ქარს მიაქვს. კავკასიის ჭლექთან მებრძოლი საზოგადოება კი დღემდე, ვგონებ, უმოქმედობის ფარგალს არ გასცილებია. მართალია მას გარდაწყვეტილი აქვს ააგოს აბასთუმანში სანატორიუმი ჭლექიანთათვის, მაგრამ ხომ გაგიგონიათ ქართული ანდაზა—სანამ პეტრე მოვიდოდაო... ვიდრე სანატორიუმს ააგებდეთ, ჭლექიანთა უზარმაზარ ჯარს თვისი დაემართება, სენი უფრო მაგრა მოიკიდებს ფეხს. საჭიროა მოქმედების დაწყება ახლავე, სიცოცხლის უნარის გამოჩენა. ამ მხრივ საყურადღებო ნაბიჯი გადადგა დონის როსტოვის ჭლექთან მებრძოლმა საზოგადოებამ. მან მიმდინარე თებერვლის რვიდან გახსნა ორი ამბულატორია განსაკუთრებით ჭლექიანთათვის, ერთი ქალაქის, ხოლო მეორე ებრაელთა საავადმყოფოსთან. წამლობა უფასოა. შესდგა სამზრუნველოც. სამზრუნველოს წევრები ყოველდღე მორიგეობენ ამბულატორიებში, რომ ავადმყოფთ აძლიონ უფასოდ რძე, წამალი და სხვ. სამზრუნველომ მოლაპარაკება გამართა რძის ფერმებთან, მათაც სიამოვნებით დაუთმეს ნაკლებ ფასში თავიანთი ნაწარმოები. მაგალ. ერთმა ფირმამ რძეზე დაუკლო 30 პროც., ლაქტობაცილინზე და კეფირზე 50 პროც. და სხვ. საზოგადოება ზაფხულობით ჰგზავნის ავადმყოფთ კურორტებზე, უჩენს დახმარებას ფულით ადგილობრივადაც, მოუწოდებს ყოველს შეგნებულს ინტელიგენტს აღმოუჩინონ ზნეობრივი დახმარება ავადმყოფთა ქონებრივმდგომარეობის გამოსარკვევად ადგილობრივ და სხვ. ყველა ამასთან ერთად ქალაქის ახლოს ეძებს შესაფერ ალაგს სანატორიუმის ასაგებად. ყველა ეს კმარა იმის დასამტკიცებლად თუ როგორ გულმტკივნეულად ეკიდება ადგილობრივი საზოგადოება ოყვასის უბედურებას, სიტყვა საქმე როგორ აქცია. ურიგო არ იქნება ამ საზოგადოებას წაჰბაძავდეს კავკასიის ჭლექ. მებრძ. საზოგადოება. საჭიროა ეხლავე დაარსდეს უფასო ამბულატორიები განსაკუთრებით ჭლექიანთათვის. დაეხმაროს ავადმყოფთ ქონებრივად, შემოიკრიბოს თან გარშემო გულმტკივნეული ინტელიგენტური ძალები, მოახდინოს ავადმყოფთა სტატისტიკა, გამოიცეს სალხო წიგნაკები უფასოდ დასარიგებლად და სხვა. კარგად ვიცით ერიბ ნაწილს შეძლება არა აქვს ალა თუ სოფლად გავიდეს ზაფხულობით, არამედ დროზე არა აქვს ფული, ლუკმა. მიაწოდეთ უბედურთ ეს ლუკმა. ამ სტრიქონების ამწერსაც გამოუცდია ამ საშინელი სენის ძმიმე უღელი და გამოცდილებით ვიცი როგორ ციურ მანანასავით ევლინება ავადმყოფს ყოველი თბილი სიტყვა, ყოველი იმედი. გაუღვიეთ უბედურთ ეს იმედი ქმით.

სიტყვით მოითმინეთ, აგერ სანატორიუმს ვაშენებთო. კეთილი პატიოსანი, მაგრამ რამდენი დრო აკრემლდება, სანამ თქვენ სანატორიუმს ააგებდეთ, რამდენი საფასი გაითხრება, რამდენი ოჯახი ვადგურდება? ან ბევრს ექმნება ბინიერება თქვენს სანატორიუმში მაცხოვდეს?

საჭიროა ხსენებულ საზოგადოებამ ონო. რამე „თეთრ გვირილას“ (для роман.) დღესასწაულის მოსყობად. დღესასწაული იმართება გაფხულზე. შარშან რუსეთში პირველად გაიმართა ასეთი დღესასწაული და დიდი შემოსავალიც ჰქონდა. ტო როსტოვის ჭლექთან მებრძოლ საზოგადოებას შემოუვიდა ... დღეს 30,000 მანეთამდე. ტფილისი ხომ როსტოვზე დიდია და მეტი შემოსავალის შანსები იქმნება თუ დღესასწაული რიგიანად მოეწყობა.

მაშ მეტი სიცოცხლე, მეტი უნარი!!.

ქ. დონის-როსტოვი. **სან-განიძე.**

ლიტერატურული გასამართლეგა

ჭიათურა. კვირას 12 თებერვალს, ადგილობრივი ინტელიგენციის დახმარებით, მოხდა ლიტერატურული გასამართლება. შოთა დადიანის, დრამის (განწმენდის სასახლის) გმირის იოსების. **ბრალმდებლად** გამოვიდენ **გიორგი ანთელაძე და ივანე გომელაური. დამცველებად ისიდორე ვარაზაშვილი, დავით ბურჭულაძე. და ილიკო აბაშიძე. იოსები** იყო **ვალიკო შალიკაშვილი ნაფიც მსაჯულებად:** ქ-ნი აბდუშელი შვილი, ლოლუა, ჩხეიძე, ჯაფარიძე, ბ. ნ. ჯაველი. ი. დეკანოზიშვილი, ნ. ოთხმეზური, ა. მითაიშვილი, ნ. წუშნავა, ჭანიშვილი, ჭიჭინაძე, რაზმაძე. ნიკურაძე და თოდუა.

აი, რას ამბობს იოსები: მახინჯი არ უნდა იბადებოდეს. მახინჯი ხორც მეტია საზოგადოებისა. მახინჯები რომ არ გამრავლდეს, არ უნდა მიეცეს მახინჯს ქალის თხოვნის ნებაო, რადგანაც მახინჯს მახინჯი შვილი ეყოლებაო. თუ მახინჯმა ქალი შეირთო და მახინჯი შვილი ეყოლა, უნდა მოვკლათო. რადგანაც მახინჯია და ის მისი სიცოცხლეში ტანჯვა ვაებას და ხალხისაგან დაცინვის მეტს ვერას მიიღებსო. რადგანაც ჩემს თავზე ქვაქვს ყველა ეს ნაცადიო. იოსები სცდილობდა რომ თავისი იდეა გაანხორციელებია და ამისთვის იმან გადადგა პირველი ნაბიჯი და წაიყვანა თავისი მახინჯი შვილი, და კლდეზე გადაჩეხა. მერე თვითონაც თავი მოიკლა.

ამაში სდებს ბრალდებელი ბრალს, იოსებს, და დამნაშავეთ სცნობს შემდეგ მუხლებში: 1) იოსებს არავითარი უფლება არ ჰქონდა, რომ მოკლა თავისი პირმშო შვილი. 2) მახინჯებში შეიძლება გამოვიდეს გენიოსები და საზოგადო მოღვაწეებიო, მაგალითად ავიღოთ ბაიროლიო—კოკლი იყო.

დამცველები ამართლებდნენ იოსებს. იმაში, რომ იოსები იყო კუზიანი. იოსებს დასცინოდნენ ტოლამხანაგები, იოსებს, არ აძლევდა მოსვენებას აუტანელი დაცინვაო და ამისათვის, რაც უნდა საზოგადო მოღვაწე ყოფილიყო, არ შეეძლო ამისი ატანაო. იგი სამართლიანად მოიქცა, რომ შვილიც მოჰკლა და თავიც მოიკლაო, რადგანაც შვილსაც დაცინვისა და ტანჯვა-წამების დაღი დაესმებოდა. ამისათვის ვამართლებთ იოსებსო.

როდესაც დამცველებმა და ბრალმდებელმა ლაპარაკი დაასრულეს, შემდეგ ითათბირეს მსაჯულებმა და **გაამტყუნეს იოსები** შვილიხ მკვლელობაში **7-ის ხმით 6 წინააღმდეგ.**

საზოგადოებაში ანკეტები დაარიგეს და როდესაც ხმები შეკრიბეს, **საზოგადოებამ გაამართლა 112 ხმით 82 წინააღმდეგ.** **ტ-ლლ.**

პასუხი ბ. დ. ქადაგიძეს

„სახალხო გაზეთის“ № 503-ში მოკლედ ვეხებოდი თუშების ზნეჩვეულებას, იმათ ეკონომიურ მდგომარეობას და იმ ლეგენდარულ გადმოცემას, წოვა თუშების შესახებ. ამის გამო ბ. დ. ქადაგიძემ „სახალხო გაზეთში“ სამი წერილი დაბეჭდა, რომელშიაც მკითხველებს აფთხილებდა „დეგოთელის“ წერილში თუ მების ცხოვრების უცოდინარობის მეტი არაფერია და შეცდომებით არის სავსეო.

გავარჩიოთ ბ. დ. ქადაგიძის წერილები და ვნახოთ თუ რა შეცდომები მიპოვნა და რა სიმართლე გვამცნო: „მთელი თუშეთი უნდა შესდგებოდეს არა ნაკლებ 1400 კომლისაგან. შარშანდლამდის ზემო და ქვემო ალვანს მიჯნა არც კი ჰქონდა. ხოლო ეხლა გაუტარეს დროებით კვალი. თვით ეს სახელები შემოღებულია ადმინისტრაციისაგან ამ ოცი წლის წინადაო“. გაუგებრობა თუ გნებავთ სწორეთ ეს არის. სჩანს ბატონმა დ. ქადაგიძემ თითონაც არ იცის გადაჭრით 1400 კომლია მთელი თუშეთი, თუ მეტი, ან ნაკლები. მე ხომ ვამბობდი 1.200 კომლია მეთქი, ეს ცნობა თვით თუშების მამასახლისებისგან მქონდა აღებული და ამათ კი მგონი უკეთ იციან თავიანთ მრევლის რიცხვი ვიდრე ბ. დ. ქადაგიძემ. სახელწოდება ზემო და ქვემო ალვანი ადმინისტრაციამ შემოიღო ამ ოცი წლის წინად, მიჯნა კი გატარდა შარშან. მართალს არა ბრძანებთ, ბ. დ. ქადაგიძე! როდესაც ალვანი გაჰყვეს ზემო და ქვემოთ, ალბად მიჯნაც მაშინ გაუტარეს. თუ რომ ასრე არა ყოფილიყო, მაშინ რა საჭირო იყო ზემო და ქვემო ალვანის დარქმევა. ავიღოთ მაგალითად დიდი სოფელი ან ქალაქი. ესენი უეჭველათ უბნებად იყოფება და ამ უბნებს მიჯნაც აქვთ დადებული.

ავტორი დაწვრილებით მოგვითხრობს რომ თუშები იყოფიან არა ორ ჯგუფათ, არამედ ოთხად, ზემო ალვანში სცხოვრობენ არა მარტო წოვები, არამედ პირიქითელი თუშებიცაო და სხ. ყველა ეს მეც დაწვრილებით ვიცი თუშების შესახებ, მაგრამ არ დავწერე, როგორც ნაკლებად საინტერესო ფაქტები, რადგანაც არ მინდოდა უმნიშვნელო სიტყვებით ამევსო გაზეთი. როდესაც მთელი თუშები გავყავი ორ ჯგუფად, ამ შემთხვევაში ჯგუფი ეტნოგრაფიულ ტერმინად ვიხმარე. ასრე იმიტომ მოვიქეცი, რომ ერთი ამ ჯგუფთაგანი - წოვები, ქართული ენის გარდა სხვა ენაზედაც ლაპარაკობენ. რაც შეეხება ბ. დ. ქადაგიძისგან დასახელებულ გომეწრებს, ჩალმებსა და გადალმებსა, ამათ არც ეტნოგრაფიული და არც ისტორიული მნიშვნელობა არა აქვთ, რადგანაც ყველა ეს ჯგუფები მარტო ქართულად ლაპარაკობენ.

უფრო კი გაუწიწმატებია ბ. დ. ქადაგიძე ჩემგან მოყვანილ ლეგენდას წოვა თუშების შესახებ. „სად გამონახა ბ-ნმა დეგოთელმა ეს ზღაპრული „გარდმოცემა“-ო. რაგორც მე, აგრედვე თქვენც იცით ეს ლეგენდა, მაგრამ ჰმალამთ, რადგანაც გეთაკილებათ, როგორც **ამაუ** წოვა თუშს, (თქვენი სიტყვებიდან სჩანს, რომ წოვა უნდა იყოთ). ამისთანა ლეგენდა რომ შეთხზო ცოტა ჩვენი ისტორია მაინც უნდა იცოდე ან ზეპირ გადმოცემით, ან წაკითხვით. ორი სტრიქონის შემდეგ კი ბ. დ. ქადაგიძე არსებითად მეთანხმება იმაზე, რაზედაც ზემოთ გამიწყრა, ე. ი. თუშების ორ ჯგუფად გაყოფაზე: **„ალვანის გაყოფის თაობაზე** (ხაზი ბ. დ. ქადაგიძისა არის) ამ ოთხ თემის შორის დიდი შუღლია ატეხილი. ერთ მხრივ სდგას წოვათ თემი, მეორე მხრივ დანარჩენი სამი თემის ხალხიო.“ რაღ დადგა, ბ. დ. ქადაგიძე, ერთ მხრივ წოვა და მეორე მხრივ **დანარჩენი სამი თემი**?! რატომ ერთ მხრივ გომეწარი მთები არ დადგა და მეორე მხრივ წოვა და დანარჩენი ორი თემი? მე მგონი ესეც წოვების ენამ გამოიწვია და იმ ზეპირ გადმოცემამ, რომელიც თქვენ ოხუნჯობად მიგაჩნიათ და რომელიც განსხვავებას აგდებს თუშებში. თქვენა ბძანეთ —**წოვა თუშები ღლიღვების ჩამომავლები არიანო.** იმასაც ამბობთ ალვანის გაყოფის თაობაზე წოვა ამბობს—მარტო მე ვიცავდი ალვანს და მეტი ნაჭერი მერგებაო. სამი თემი კი თავისას გაიძახის.

გავარჩიოთ ეს მართლა და თქვენი ოხუნჯობა; ალვანი კახეთშია; კახეთი დასახლებულია ქართველი ხალხით, ძველადვე ქართველები არიან ჩალმა თუშები. და აი ამ ჩამომავლობით ქართველ თუშებს ალვანში, ე. ი. კახეთში, ღლიღველების ჩამომავლების წოვა თუშები ედავებიან, რომ მარტო მე ვიცავდი ალვანსაო და მეტი ნაჭერი მერგებაო. აი ამაზედ არის ნათქვამი—აზანბურელი თათარი გოჭის თავს მედავებოდაო. ამ შემთხვევაში წოვებიც ისევე მართლები არიან, როგორც თქვენ, ბ. დ. ქადაგიძე!

ვთქვათ რომ ღლიღვი ქრისტი არ არის, (თუმცა კი ღლიღვი, ქრისტი, ნოღა მონათესავე ჯგუფებია და ამათი ენა ისე ჰგავს ერთმანეთს, როგორც მეგრელი ქართველს). მაგრამ იმას ხომ ბრძანებთ, რომ წოვა თუშის ენა ღლიღურიაო; მაშასადამე ლეგენდას ამართლებთ. რაც შეეხება იმას, რომ მრავლად ქართულ ნარევია, ეს ასეც უნდა იყოს, რადგანაც წოვები საუკუნოებით სცხოვრობენ ქართველების მეზობლად.

აიღეთ მაგალითად ჯავისა, ქსნის ხეობისა და საციციანოს ოსები, — ესენი მესამედობით ურევენ ქართულ სიტყვებს, მაგრამ კი არავინ იტყვის ოსები ქართველები არიანო.

გეოგრაფიულ შეცდომებსაც მისწორებთ, ბ. დ. ქადაგიძე!—„როგორ—ქისტი, ღლიღვი, ნოღა... მთელი ჩაჩნელი ხალხი დაღესტანში სცხოვრობდა? როგორ, ჩაჩანი დაღესტანშია? (ჩაჩანი მე არ მიხსენებია). შეიძლება ითქვას—კახეთი ქართლშია? აი ასეთი აბსურდული დასკვნა გამოვიყვანეთ ბ. დეგოთელის „გარდმოცემიდან“-აო. დიახ, ბ. დ. ქადაგიძე! აბსურდული დასკვნა გამოიყენეთ იმიტომ, რომ თქვენ დაგვიწყებიათ, რომ ერთ დროს ღლიღვები, ნოღები, ქისტები და სხვანი შამილის ქვეშევრდომნი იყვნენ. შამილის სამეფოს კი დაღესტანს ეძახდა ჩვენი ხალხი. ამ აზრით კი გამოვა არა ისე, რომ კახეთი ქართლშია. ღლიღვები არამედ ისე რომ კახეთი და ქართლი საქართველოშია. მაშინ დარჩნენ დაღესტნის გარედ, როდესაც დაღესტანი დაიპყრეს და ადმინისტრატიულად დაღესტნის ოლქი ცალკე გამოჰყვეს. ლეგენდა კი დაღესტნის დაცემაზე ადრე უნდა ყოფილიყო. ამასთან, როდესაც ზეპირგადმოცემას მოვუთხრობდი მკითხველებს, ვცდილობდი ზედმიწევნით იმ სიტყვებით გადამეცა, როგორც გავიგონე, რომ ლეგენდა არ დამემახინჯებინა. მეორე წერილში ბ. დ. ქადაგიძე ამბობს: „მაგრამ ერთი შენიშვნა კიდევ უნდა მივცე „გარმოცემას“. ჩალმებმა რომ წოვები ზემო ალვანში (სად იყო მაშინ ან ზემო ან ქვემო ალვანი,—აღარ იკითხავთ, ბ. დეგოთელო?!) თავის მეზობლად დაასახლეს, თვითონ ჩალმები სადა ცხოვრობდნენ? ალბად, ქვემო-ალვანში!.. ეს მეორე აბსურდა, რომელიც დაისკვნება „გარდმოცემის“ შინაარსიდან. აქედან ისიც დაისკვნება, ვითომც ალვანი ეკუთვნოდა მხოლოდ ჩალმას; ეს რომ ასე ყოფილიყო, ჩალმა რაგორ დაასახლებდა ალვანში წოვასა“-ო.

საოცარი კაცია დ. ქადაგიძე! რის გაგებაც არ უნდა, ან რასაც ვერ გაიგებს,-იმას უეჭველად აბსურდს დაარქმევს. ბ. დ. ქადაგიძე! ალვანი ხომ ჩიტის ბუდე არ არის, რომ წოვა და ჩალმა ერთათ ვერ მოთავსებულიყვნენ. ალვანი მთელი კუთხე არის და შესაძლებელია, იმის გარდა რაც ჩალმებს ეჭირათ, კიდევ იყო თავისუფალი ალაგი. ამ თავისუფალ ალაგზედ დაუსახლებიათ წოვა თუშები, ანუ მაშინდელი ღლიღვები. შემდეგ ადმინისტრაციამ დაჭყო და იმ ადგილას, სადაც წოვები და ზოგი სხვა სცხოვრობდნენ, ტარქვა ზემო, სადაც კიდევ მომეტებული ნაწილია ჩალმებისა ქვემო-ალვანი. რაც შეეხება თქვენ რომ გუჯარი გაქვთ, რომელშიაც თურმე წერებულა—„შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ... სულ ერთობილთ თუშთ... გიბოძეთ ალოვნის ადგილიო,“ აქ არც არაფერი თქვენი გასამართლებელია და არც ჩემი გასამტყუნარი, რადგანაც ეტყობა გუჯარი არა ჰყოფს თუშებს წოვებათ და ჩალმებათ. ბ. დ. ქადაგიძესაც მოჰყავს ცნობა იმის შესახებ თუ სად დასახლდნენ პირველად წოვა თუშები. რადგანაც ჩემგან გაგონილ ზეპირ გადგოცემასა ჰგავს, ამიტომ ამაზე არას ვიტყვი, რომ მეტი ლაპარაკი არ გამოვიწვიო.

ენის შესახებ ბ-ნი ქადაგიძე ბძანებს: „არ მახსოვს, რომ 10 წლის ბიჭმა უკვე არ იცოდეს ქართული. ქალი, მართალია, უფრო გვიან სწავლობს ქართულ ენას, მაგრამ აქაც უნდა ითქვას: საქმროდ მოღერებულ ქალს უკვე შეთვისებული აქვს სადავო ენაო და სხვ. არც ეს არის მართალი. მე ბევრ 10—15 წლის მწყემს ბიჭებთანა მქონია ლაპარაკი, რომელთაც წვალებით გაუგონებიათ თითო-ოროლა სიტყვა. ქალებს კიდევ რომ რცხვენოდეთ, როგორც ბ. დ. ქადაგიძე გვასწავლის, საქრმოსთან, ექმთან და ბოქაულთან ლაპარაკისა, მაშინ ხომ, საცა ეს უკანასკნელნი არიან ქალები წოვურათაც არ ილაპარაკებენ. და თუ არა ლაპარაკობენ მარტო იმიტომ, რომ ქართული კარგად არ იციან. როცა კი შევკითხვივარ წოვა თუშის ქალს, —რატომ ქართულად არა ლაპარაკობ, რომ მეც გავიგო-მეთქი, სიცილით უპასუხნიათ—არა, არ ვიცი.

დეგოთელი.

(დასასრული იქნება)

ჩინეთის რევსპუბლიკა

(დ ე პ ე შ ე ბ ი).

კულჯა. ზოგიერთ ადგილებში ამბოხებაა. აჯანყებულნი მთავრობას ართმევენ ქონებასა და საქონელს, რომელიც მცხოვრებლების გატყავებითა და შეწუხებით შეუძენიათ. დუნგანში ძალიან ელტერებიან ძველ მთავრობის მომხრე თიანძინელებს. შეიძლება ბრძოლაც მოუხდეთ.

პეკინი თიანძინის არეულობამ პეკინისაზე ბევრად მეტი ზარალი მოიტანა. სავაჭრო უბანი მთლად გადაბუგეს და მოსრეს. სხვათა შორის დასწვეს ზარაფხანა, სახელმწიფო ბანკისა და რკინის გზის სამმართველოები. ძარცვა-გლეჯაში ადგილობრივ ჯარის გარდა მონაწილეობას იღებდა პოლიცია. ვიცე-კროლი უცხოელთა კონცესიას შეეხიზნა. ჯარის კაცები მშვიდობიან მცხოვრებლებს თოფს ესროდნენ. პეკინში მშვიდობიანობაა, მიდამოებში კი ისევ ძარცვაგლეჯაა. პეკინის ახლო-მახლო მდებარე დაბები გაძარცვეს. პეკინში ამერიკის 250 და საფრანგეთის 200 ჯარისკაცი მოვიდა. 400 უცხოელ ჯარისკაცის მოსვლას კიდევ მოელიან., პეკინის არეულობის გამო მიყენებული ზარალი 20 მილიონს უდრის.

ოსმალეთ-იტალიის ომი

დეპეშები.

სტამბოლი. ბეირუტის მართველი დეპეშით იუწყება: ბეირუტს ზარბაზანი რომ დაუშინეს, ხალხი მიესია იარაღის საწყობს და თოფები დაიტაცა. ხალხი შეეცადა ციხიდან დაპატიმრებულნი გაენთავისუფლებინა, მაგრამ დარაჯებმა წინააღმდეგობა გაუწიეს. ხალხმა რამდენიმე კაცი მოჰკლა. შემდეგ იმ უბანს მიაშურეს სადაც ქრისტიანები სცხოვრობენ. მოხდა რამდენიმე შეტაკება, მაგრამ დამასკიდან ჯარი მოვიდა, სამხედრო წესებიც გამოაცხადეს და არეულობა დააცხრეს.

დერნა. იტალიელებმა რამდენიმეჯერ უკუაგდეს ოსმალნი და შემდეგ მათი პოზიციები დაიჭირეს. ოსმალნი ძალიან დაზარალდნენ. იტალიელებს 150 კაცამდე დაუჭრეს და დაუხოცეს.

დეპეშები

(დეპეშათა პუტერბ. სააგენტო)

ბაზღვარ-გარედ.

21 და 19 თებერვალი.

ამინისტია.

სტამბოლი. საამნისტიო პროექტის შემდგენელმა კომისიამ დაადგინა გაანთავისუფლონ ძველი რეჟიმის სამხედრო მინისტრი ჰამიდ-რიზა და ჟურნალისტი მურადი, რომელნიც ციხეში სხედან.

გაფიცვები.

დორტმუნდი. მაღაროების მუშები ორგან გაიფიცნენ. გაფიცულია რამდენიმე ათასი კაცი.

ბუდაპეშტი. საყოველთაო საარჩევნო უფლების სასარგებლოდ 140 ათასი მუშა ერთ დღეს გაიფიცა და ქუჩა-ქუჩა დადიოდა. წესერება არსად დაურღვევიათ.

ლონდონი. რკინის გზის მოსამსახურეებმა გადასწყვიტეს, სამთამადნო მუშებს ბარი დაუჭიროს და ბაქიცვასაც არ მოერიდნენ. ქარხანა ქარხანაზე იკეტება. საქვანახშირო გემებზე მოსამსახურეებს ითხოვენ, რადგანაც სამუშაო არაფერია. მიმოსვლა რკინის გზაზე შეამცირეს.

სუფრაჟისტკები.

ლონდონი. სუფრაჟისტკებმა ხელმეორედ მოახდინეს დემონსტრაცია და დიდი მაღაზიების შუშები დალეწეს. ფანჯრები ჩაუმტვრიეს აგრედვე ლორდ-კანცლერ ლორბენს და ინდოეთის გარეშე საქმეთა მინისტრს კრუს. ბევრი დაუპატიმრეს.

ობრის სიკვდილი.

რომი. სენატის სხდომაზე ჯიოლიტიმ ტარენტიდან დეპეშა მიიღო, გემ „ვიტორიო ემანუელზე“ ადმირალი ობრი გარდაიცვალაო. ამ ამბავმა ყველანი დააღონა.

ინგლისის გემი.

მალტა. ინგლისის კრეისერს „ბარხემს“ ბრძანება მოუვიდა, კრიტესკენ წადიო.

ლოკაუტი.

ბერლინი. მკერვალთა დამქირავებლებმა დაადგინეს, ყველგან, სადაც კი ქარგლის თანაშემწენი გაიფიცებიან, ლოკაუტი გამოაცხადონ.

თავის მოკვლა.

ბანკოკი. დაუპატიმრეს რამდენიმე აფიცერი, რომელნიც ჯარისკაცებს ასაჯანყებლად მოუწოდებდნენ. ერთმა აფიცერმა თავი მოიკლა.

პოეტის თავის მოკვლა.

პრაგა. მორავიის სოფელ დივაკში გაგიჟდა და შემდეგ ყელი გამოიჭრა ჩეხელთა განთქმულმა პოეტმა ვილლემ მშრტიკმა.

გერმანიის რეიხსტაგი.

ბერლინი. განაგრძეს იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის განხილვა. სტატს-სეკრეტარმა დელბრუკმა ილაპარაკა გერმანიის საეკონომიო პოლიტიკის თაობაზე და აღნიშნა: მიუხედავად გარეშე საქმეთა აწეწვისა, გერმანიამ მაინც მშვიდობიანად ჩაატარა წარსული წელიო. ესა ჰმოწმობს, რომ საეკონომიო პოლიტიკა მტკიცე ნიადაგზე სდგას და ცვლილება არ ესაჭიროება. საბაჟო ტარიფმა მოლოდინი გაგვიმართლა და მისი შეცვლაც შეუძლებელია. გერმანიამ მფარველობა უნდა გაუწიოს სინდიკატებსა. დაარსდა ორგანიზაციები, კერძო მონოპოლიის მსგავსი, რაიც ხაზინისაზე უარესია. გერმანიას, რასაკვირველია, მოუხდება ყოველ კერძო მონოპოლიის სახაზინოდ გადაქცევა. დელბრუკის განცხადებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. დელბრუკმა სიტყვა გაისწორა და სთქვა, გერმანიის საეკონომიო ცხოვრების განვითარებისთვის აუცილებელია სინდიკატები, თუ თავის მდგომარეობას ცუდად არ გამოიყენებენო.

რ უ ს ე თ ი

მორიგი სეიმი.

ჰელსინგფორსი. დაიწყო სეიმის მორიგი სხდომები.

ნაციონალისტების კრება.

პეტერბურგი. ნაციონალისტა კრებამ მოისმინა შემდეგი მოხსენებანი: პოლოვცოვისა ნაციონალისტების მესამე სათათბიროში მოქმედებაზე, ეპისკოპოს ევლოღისა—ხოლმის საკითხზე. გრაფ ბობრინსკის მოხსენება ვეღარ მოისმინეს, რადგან ცნობა მიიღეს, სათათბიროში წინადადება შეიტანეს, გასარჩევ რიგიდან გამორიცხონ ხოლმის გამოყოფის საკითხიო და დეპუტატები სათათბიროსკენ გაეშურნენ.

მიწის ძვრა.

ვერნი. 19 თებერვალს საღამოს მიწა ინძრა.

თავის მოკვლა.

ეკადენიოდარი. თეატრში „დემონი“-ს წარმოდგენის დროს რევოლვერთი თავი მოიკლა ფერშალმა; ტყვიამ ერთი მაყურებელი მუსიკუქად დასჭრა, ხოლო მხედართა მამასახლის ვოლჩანინოვს გულში მოხვდა —ვოლჩანინოვის გადარჩენა ძნელია.

უცხოეთი

ინგლისის მუშათა გაფიცვა.

ინგლისში ეხლა ძალაუნებურად ყველას მუშებისაკენ უჭირავს თვალი, და გაფიცვას შიშით მოელიან. თუ მუშები გადასწყვეტენ, გაფიცვა 29 თებერვალს დაიწყება დაიწყება.

თუ მართლა გაფიცვა დაიწყო, იგი არაჩვეულებრივი რამ იქნება, მილიონზე მეტი ქვანახშირის მაღაროების მუშა გაფიცება ინგლისსა, შოტლანდიასა და ვალისში. ამდენივე მუშა იძულებული იქნება ქარხნებში მუშობას თავი დაანებოს, რადგანაც მანქანები უნახშიროდ ვერ იმუშავებს. შეიძლება საქმე ისე მოეწყოს, რომ ინგლისში ყვე-

ლას მოუსპონ ქვა-ნახშირის შემოტანის საშუალება.

მცხოვრებლებმა ჯერ არ იციან, თუ რასა ჰნიშნავს ქვა-ნახშირის მუშათა გაფიცვა, რადგანაც ამისთანა არა ყოფილა რა ინგლისში. 6—7 კვირას რომ გაგრძელდეს გაფიცვა, ცხოვრება თითქმის მისწყდება: ხალხს სიცივე შეაწუხებს, აღარც განათება იქნება, აღარც მატარებელთა მიმოსვლა და ვეღარც ქარხნის ფეჩები გახურდება, ინგლისი მოსწყდება ამერიკას, აფრიკას, ინდოეთსა და ავსტრალიას.

ვინც მაღაროების მუშებს იცნობს, განსაკუთრებით ვალისელებს, მორიგების იმედი არა აქვს მართლაც ისინი გამოცდილები არიან. 1893 წელს მაღაროების მუშები გაიფიცნენ. მათ ისე გაუჭირდათ საქმე, რომ საფონდო ფული მთლად დახარჯეს, კაპეიკი აღარა ჰქონდათ, სახლის ნივთები გაჰყიდეს, ცოლ-შვილი შიმშილით ეხოცებოდათ და მაინც არ გატყდნენ, გაფიცვისთვის არ უღალატნიათ. მართლაც ინგლისს ძალიან შეაწუხებს გაფიცვა. დიდი ხანია ეს გაფიცვა, რაცა მზადდებოდა. აი, რასა სწერდა ერთის წლის წინად მუშათა ორგანო, რომელმაც სრულიად დაჰკარგა პარლამენტის იმედი: მაღაროებში ძალიან ხშირია გაფიცვა, გაფიცვის ერთად-ერთი მიზეზი აქვს: ხელფასის სიმცირე. ხელფასი ისე მცირეა, რომ ძალიან უძნელდებათ მუშებს ცხოვრება, თუმცა ტყავიდანა ძვრებიან და ოფლს უხვად ჰღვრიან. მაღაროების მუშებმა უეჭველად უნდა დააწესებინონ ხელ-ფასი მინიმუმი. პარლამენტი ვერას გვარგებს, ვერას შეგვძენს. პარლამენტმა რომ რამე გადასწყვიტოს ჩვენს სასარგებლოდ, აგიტაციაა საჭირო, ხალხის მიმხრობა, ყველაფერს ამას კი დრო უნდა, ხანი. არა! ძალა ჩვენს ხელთაა. გაიფიცენით და ყველაფერს მოვიპოვებთო“. 1911 წლის თებერვლის ნომერი ასეთის ფრაზითა თავდება: „მოემზადენით 1912 წლის გაფიცვისათვისაო. ლოზუნგად წამოყენებულია: 8 საათის მუშაობა, 8 საათი დასასვენებლად, 8 საათის ძილი და დღეში 8 შილინგი (შილინგი თითქმის 46 კაპეკს უდრის).

ამნაირად ახლანდელი გაფიცვა უცები არ არის. განსაკუთრებით გაცხარებულნი არიან ვალესის მუშები. მოლაპარაკებას გულის ფანცქალით ადევნებს თვალ-ყურს მთელი ინგლისი. მუშებში სინდიკალისტებსა ჰსურთ გაფიცვა, რადგან გამარჯვების იმედი აქვთ. არიან მაღაროების ისეთი პატრონები, რომელთაც ჰგონიათ, გაფიცვა მუშებს გაანადგურებს და მათთან ერთად ტრედ-უნიონისტებსაც.

ეხლა კი ქვანახშირის პატრონებმა ფასს ერთი ორად მოუმატეს. გერმანიას ინგლისის ფლოტი რომ დაემარცხებინოს და მის ნაპირებს მოსდგომოდეს, არც მაშინ გაძვირდებოდა ასე ძალიან ქვანახშირი. ღარიბ-ღატაკთა ბავშვები ყიდულობენ შაურის ნახშირს, გაზეთებს ქაღალდში შეახვევენ ხოლმე და მიარბენინებენ მინისაკენ, როგორც პურსა. ხალხს ძალიან დიდ ხანს ეხოსმება ეს დრო: ერთმა სიცივისაგან შეწუხებულმა იატაკი აჰყარა, კარებები და კიბეები ჩამოიღო და დასწვა.

თეატრი და ხელოვნება

სალიტერატურო საღამო ზუბალაშვილების სახალხო სახლში.

უჰ, არ გააჭირვეს საქმე ამ ტფილისელებმა თავიანთი სალიტერატურო დილა-საღამოებითაო!—შესძახებს პროვინციელი მკითხველი, რომელსაც არ უნდა გაითვალისწინოს, რომ იწყება გაზაფხული და... მაშასადამე ადვილი ასახსნელია ჩვენი მგოსნების ერთნაირი მოუსვენრობა... ამიტომაცაა, რომ 18 თებერვლის საღამოს პროგრამაში იმ სიგრძე სია იყო ჩამოწერილი პოეტ-მწერალთა, რომ, როგორც რუსები იტყვიან, გულ-უბმაზედ ვერც კი შესძლებდით ბოლომდის ჩაგეკითხათ... ხუმბრობა იქით იყოს და სალიტ. დილა-საღამოების გამართვას არა ვჩივით, ოღონდ, ვიმეორებთ, ჯეროვანად მოეწყოს ხოლმე ეს სასარგებლო გასართობები...

შაბათს, 18 თებერვალს, მგოსან ქუჩიშვილის მიერ გამართული საღამო, თუმცა ერთფეროვანი იყო, მაგრამ შინაარსიანი, საგულისხმიერო და ამიტომ საინტერესო.

ყველაზე მეტად დაგვაინტერესა ბ. ილ. ნაკაშიძის ლექციამ „ქალთა კითხვაზე“ და აქ ვეცდები ამ საყურადღებო ლექციის შინაარსი მოკლედ და დაახლოვებით გადავსცეთ მკითხველს. ბ. ი. ნაკაშიძის ბაასი იყო ყველასათვის გასაგებ, მდაბიო ენით თქმული. თქვენ შეგეძლოთ არ დასთანხმებოდით ლექტორის ბაასის ზოგიერთ დებულებას და, თუ გინდა, ლექციის საერთო დასკვნასაც, მაგრამ იმან, თანახმად თვისი გულწრფელ რწმენა-შეხედულებისა, მრავალის ცოცხალი მაგალითებით და ნალაპარაკევიდან თან და თან ლოღიკურის დასკვნით მთლად მოისყიდა მსმენელთა ყურადღება.

ჩვენ ვხედავთ და გვესმის, რომ ქალები, ეს ნაზი, სათნოიანი და მოსიყვარულე ქმნილებანი, ამოძრავდნენ და სასტიკი ომი გამოაცხადეს უფლების მოსაპოვებლად. რას მოითხოვენ ქალები?, იკითხა ლექტორმა. ქალებს სწადიანთ მამაკაცებთან გათანასწორება: ჯერ ერთი საკანონმდებლო პარლამენტებში შესვლა და მერე-მოპოვება უფლების ყოველგვარ სამსახურში დანიშვნისა (ექიმად, მასწავლებლად, ინჟინრად, მსაჯულად და სხ.) ჯერ ერთი ვიკითხოთ როდის და როგორ წარმოსდგა პირველად პარლამენტი (სახელმწიფო სათათბირო):

შუა საუკუნეში ინგლისი დაიპყრეს ნორმანდელებმა და იმათმა კოროლმა ეს სახელმწიფო დაჰყო მრავალ ნაწილებად, შიგ ჩააყენა გენერალ-გუბერნატორებივით დიდი მოხელეები მცხოვრებელთაგან ათას გვარ ხარჯის მოსაკრებად. ცოტა ხნის შემდეგ ნორმანელმა კოროლმა დაატყო, რომ მის მიერ დაყენებული მოხელეები უდიდეს ნაწილს ხალხისგან აღებულ გადასახადებისას თითონვე იჯიბავენ და კარლს კი ცოტა ღა ჰხვდება: ამიტომ კოროლმა ბრძანება გასცა, რომ განსაკუთრებულ დროს და ადგილს შეკრებულიყვნენ ხოლმე ყველა კუთხის წარმომადგენლები სათათბიროდ და გამოსაკვლევად იმისა, თუ საიდან რამდენი ხარჯის მოკრება შეიძლებოდა. აი ეს იყო პირველი ჩანასახი სათათბიროსი-პარლამენტისა. ასეთი იყო დანიშნულება ამ პარლამენტისა, რომლის შემწეობითაც მთავრობას ჰსურდა რაც შეიძლება მეტი გადასახადები მოეგროვებინა ხალხისგან. ამით ხალხი რამდენჯერმე ზედმეტად შევიწროვდა, გაღატაკდა. მაგრამ ადამიანის ბუნება იმგვარად არის მოწყობილი, რომ იგი დიდ ხანს ვერ ითმენს ჩაგვრა-შევიწროებას და ამიტომ ხალხში გაისმა უკმაყოფილების ხმა. მაშინ მთავრობაც დაფაცურდა, შეეცადა და ხალხშივე გამოიძებნა თავის მოკავშირე,-სამღვდელოების სახით, რომელმაც, ქრისტეს ბრწყინვალე მოძღვრების თავისებურის განმარტებით, ხალხის ქონება შებოჭა, დააბნელა რამდენიმე ხნით ხალხი გაყუჩდა, დაემორჩილა, მაგრამ ბოლოს ეს საშუალებაც საკმარი არ გამოდგა და მაშინდელ ინგლისის მმართველებმა ხალხში დაგზავნაეს მთელი რაზმი იურისტებისა, რომლებიც არწმუნებდნენ ხალხს, რომ ის კანონები, რომლებიც იწერებოდა თვით გამგე—მმართველისავე წრეებისგან, მთელის თვისი ძალით ხალხის კეთილდღეობას ემსახურებოდაო. მაგრამ განა კი შეუძლიან ერთ მუჭა იურისტებს, რაც გინდა მოწადინებული იყოს, აუვიდეს და დაიცვას მთელი ზღვა ხალხისა, მაშასადამე ხალხს იცავდა, გარეშე პარლამენტისა და კანონებისა, თვით ბევრი ადამიანის კეთილი გულის თვისება [და კერძო თაოსნობა, მას შემდეგ დიდმა ხანმა გაიარა და ბევრ სახელმწიფოებში დაწესდა და გაუმჯობესდა კიდეც თათბირები. ჩვენ ვიცით, რომ მაგ. საფრანგეთის ხალხმა გამოიარა რამდენიმე რევოლუცია, დაწინაურებულ მხარეთაც ითვლება, მაგრამ იქაც ერთ მუჭა შეძლებულთაგან დაბეჩავებულია დიდი უმრავლესობა მშრომელი ხალხისა. 40 მილიონ ჰეკტარ*) მიწას იქაური გლეხობა სხვისთვის ამუშავებს.

კაცობრიობა ერთი შეხედვით თითქოს წრნ წავიდა თავისი ცივილიზაციით: თავი მოაქვს ათას გვარ გამოგონება - გაუმჯობესებით; ამ ბოლო დროს ჰაერიც კი დაიმონავა, მედიდურად ცის სივრცეში გაინავარდა და მზეს დაუახლოვდა, მაგრამ დიდი უმრავლესობა ეხლა უფრო მშიერ-მწყურვალია და მის არსებობისთვის ლუკმა პურის შეძენა არავის გაუადვილებია. ამას წინედ ერთ-ერთ საფრანგეთის იუმორისტულ ჟურნალში დახატული ყოფილა ერთი საგულისხმიერო და აწინდელ ყოფის დამახასიათებელი კარიკატურა: მაღლა ჰაერში ამაყად მიჰფრინავს ხავერდ-ფრთოვანი და ოქრო-ვერცხლით შეჭედილი ჰაეროპლანი, რომელშიაც ძვირფასად გამოწყობილ პირთ ნადიმი გაუმართავთ და შამპანიურ ღვინით შეექცევიან. ამ ძვირფას ჰაეროპლანს ქვემოდან მისდევს მეორე პატარა, დაძონძებულ-ფრთიანი ჰაეროპლანი, რომელშიდაც ზის ღარიბ-ღატაკი ადამიანი და მოწყალებისთვის ზევით ხელს აშვერს... რაც გინდა მაღლა აფრინდეს დღევანდელი ადამიანი, იმას საწყალიც ყოველთვის თან დეედევნება. ის ადამიანი, რომელმაც თავისი გენიოსობის წყალობით ბევრი რამის გაგება შეიტყო, ვერ შესძლო უბრალო ლუკმა პურის შოვნა.

ამისათვის უნდათ, საზოგადოდ ადამიანებს და კერძოდ ქალებს ინჟენერის უფლების მოპოება? ან რატომ უნდათ იმათ ექიმობა, იმიტომ რომ ხალხში წავიდნენ და იქ შიმშილ - წყურვილზე აღმოცენებულ ათას გვარ ავადმყოფობის „გასაკურნავად“ რაღაც ფხვიერი ან „ბილული“ მიაწოდონ, ამ პალიატიკურ საშუალებით თავიც მოატყუონ და ხალხიც. წამალი დაცინვაა გაჭირვებულ ადამიანისთვის და ექიმიც განიცდის თვის უძლურების ვითარებას.

ან რა შეუძლიან ეხლანდელ მოხელე მასწავლებელს, რომელსაც ერთხელვე ნაბრძანებ თავისებურის პროგრამით უხდება მოღვაწეობა? ესევე ითქმის ეხლანდელ სხვა გვარ მოხელეს ასპარეზის შესახებაც ამგვარათაო—დაასკვნა ლექტორმა,—ქალი ტყუილად მიისწრაფის მოხელეობისკენ და პარლამენტში, იქ—უდაბნოა.

მაშ, რა გზას უნდა დაადგეს ქალი? ოჯახი და საზოგადო მოღვაწეობა,—აი მისი ასპარეზი. ადამიანმა თავისი თავისუფლება თვითვე უნდა შეჰქმნას: სადაც წინდა-წინვე გონებას არ უმუშავნია, საკანი ყოველ-მხრივ ღრმად არ შეუგნია მოსიყვარულე გულის-თქმა არ წარუმძღვარავს, იქ თავისუფლება ვერ იბოგინებს. ოჯახი არის ის ბუდე, საიდანაც უნდა გამოვიდეს ღირსეულათ მომზადებული ადამიანი. ეს შეგნება უნდა გაითვალისწინოს ქალმა და მთელი თავისი გონების სიმახვილე და ნაზი, მოსიყვარულე გული, მომავალ ადამიანის აღზრდას მოახმაროს.

რა შეუძლიან კარგ აღზრდას? ამის სანმუშოთ ლექტორმა შემდეგი მაგალითი მოიყვანა: ამერიკაში, ბოსტონის ახლოს, სცხოვრობდა ვინმე კელლერის ოჯახობა რომელთაც დეებადათ ყრუ მუნჯი უსინათლო ქალიშვილი. ეს ბავშვი რაც უფრო იზრდებოდა, იმდენად ავნებდებოდა და აუტანელი ხდებოდა: ამტვრევდა და აფუჭებდა რაც კი ხელთ მოხვდებოდა და ერთხელ, დროზე რომ არ მოესწროთ, კინალამ დაახრჩო თვისი უმცროსი და. 7—8 წლისა რომ შექმნილა ეს ბავშვი, ყრუ-მუნჯთა სასწავლებლიდან მოუწვევიათ ერთი მასწავლებელი ქალი, რომელსაც ბავშვის ხელის გულზე წარწერით გაუცვნია ბავშვისთვის ყოველგვარი ცხოვრების და ბუნების მოვლენანი, ჩაუნერგავს თან და თან სპეტაკი, ადამიანური გრძნობანი და ამ მასწავლებელ ქალის ასეთ თავგამოდებულ დიდისნის შრომის ნაყოფი ის არის რომ, ჩვენს დროში, მის მიერ აღზრდილი ის ბრმა - ყრუ - მუნჯი გამოჩენილ მწერლად ითვლება და თვისი მომხიბლავი ,ალმის ნაწარმოებით ერთიან იტაკებს მკითხველსაო...

ბოდიშს ვიხდით პატივცემულ ლექტორთან, უკითუ, მრავალ მიზეზის გამო, ვერ მოვახერხეთ მისი ლექციის შინაარსის გადაცემა.

მეორე ლექცია წაიკითხა ბ. **მიხეილ წულუკიძემ** ილ. ჭავჭავაძის „განდეგილზე“. ამავე ლექტორისგან ესევე ლექცია პირველად წაკითხულ იყო ქართულ თეატრში და ეგრეთვე დაიბეჭდა, რამდენადაც გვახსოვს, გაზ. „თემში“. ეს ლექციაც საგნის ცოდნით და კარგის სალიტერატურო ენით იყო დაწერილი, მაგრამ იგი არ შეეფარდებოდა დამსწრეთა უმრავლესობის მომზადებას.

ამავე საღამოს წაიკითხეს თვისი ნაწარმოები, ზოგმა სხვისიც, ჩვენმა მწერლებმა და მსახიობებმა. საზოგადოდ უნდა ვურჩიოთ დილა-საღამოებში მონაწილეთ, რომ მოერიდნენ ხოლმე ვრცელ ნაწარმოებთა წაკითხვას, რადგანაც ეს მეტადა ჰღლის მსმენელთ და მოსმენის ხალისს უკარგავს. მონაწილეთა შორის საზოგადოებას მოეწონა: ს. აბაშელი, ნ. ჩხიკვაძე, ბ. ახოსპირელი, რ. ბებიაშვილი. თუმცა, საზოგადოდ, სახალხო სახლში მოსიარულენი მეტად გულუხვნი არიან ტაშის ცემაში... თავიანთი ნაწარმოები წაიკითხეს: ელეფთერიძემ, კ. ჯაფარიძემ, გრ. დიასამიძემ (ამ ორში უკანასკნელებმა გაიმეორეს ერთხელ იქ უკვე წაკითხული თხზულებანი), ფაშალიშვილმა, დარია ახვლედიანმა, დ. ნახუცრიშვილმა, კონსტან-ანდრონიმ, მსახიობ ქალმა ო. ლეჟავამ—დუტუ მეგრელის ლექსი „ცრემლები“ და დ. აბდუშელმა, თვისი „ჟამსა მწუხრისათ“, საზოგადოებას მწუხრი მიაყენა, რადგანაც ჯეროვანად არ მომზადებულიყო.

ა—ციხელი.

წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო!

„სახალხო გაზეთის“ გუშინდელ ნომერში თაე დიმიტრი ერასტის ძე ჩოლაყაშვილი ბრძანებს, ვითომც „თემის“ ცნობა მისი დანიშვნის შესახებ კახეთის რკინის გზის გამგეობის დირეკტორად **„სრულებით არ შეეფერებოდეს სიმართლეს“.**

ეს ამბავი სვენ თვითონ თავ. დიმიტრი ჩოლაყაშვილმა გადმოგვცა თანაც აღელვებით დასძინა, რომ თავ. გიორგი. ბაგრატიონ-დავითაშვილმა დეპეშით გზიდან განკარგულება მოახდინა მისი დანიშვნის შესახებ ქაღალდის ასრულება შეეჩერებინათ.

როგორც ახლა გამოირკვა თავ. დიმიტრი ჩოლაყაშვილი უნდა დანიშნულიყო არა პირდაპირ დირექტორად, არამედ მხოლოდ **კანდიდატად.** მაგრამ ეს გარემოება ხომ სრულებით არ სცვლის არსებითად თვით ამბავს.

„თემის“ რედაქტორი **გრიგოლ დიასამიძე.**

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

გამოსაღეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

ზამთრობით (15 ოქტომბრიდან 1911 წ.) (დრო ტფილის. საათითაა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

ტფილისიდან გადის·

ბათუმისაკენ: 1) სამგზავრ. მატარ. № 7, I—II კლ., ხდ. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვში 3 ს. 8 წ., რიონში დილ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) სამგზ. მატ. № 5, I—II კლ. სდ. 5. ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 საათ. 26 წ.

3) საფოსტო მატ. დილ. 9 ს. 50 წ., გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 1 ს. 56 წ., რიონში დილ. 6 ს. 17 წ., ბათუმში 11 ს. 3 წ.

ბაქოსაკენ: 1) ჩქარი მატ. № 2, I—III კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალაჯარაში დამ. 1 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ.

2) სამგზ. მატ, № 6, I—II კლ. დდ. 3 ს. 38 წ., განჯაში დამ. 9 ს. 46 წ., ბალაჯარაში დილ. 7 ს. 34 წ., ბაქოში 8 ს. [illegible] წ.

3) საფოსტო მატ. № 4, I—II კლ. დამ. 1[illegible] ს. 18 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალაჯარაში დდ. 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ.

4) შერეულ. მატ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალაჯარაში დილ. 5 ს. 58 წ., ბაქოში 7 ს. 12 წ.

ბორჯომისაკენ: 1) სამგზ. მატარებ. № 9/6, I—III კლ, დდ. 3 ს. 23 წ., ბორჯომში 9 ს. 2 წ.

ჯულფასა და ერევნისაკენ: 1) საფოსტო მატ. № 74/75, I—III კლ. სდ. 11 ს. 48 წ. ჯულფაში მეორე დღის სდ. 1 ს. 10 წ.

2) სამგზ.-საკონლ. მატარ. № 78—79, II—III კლ. დდ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილის 11 ს. 6 წ.

ტფილისში მოდის.

ბათომიდან;) სამგზ. № 6, I—III კლ. 2 ს. 50 ს. საფოსტ. № 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ. 3) სამგზ. № 8, I—III კლ. დილ. 5 ს. 33 წ.

ბაქოდან: 1) სამგზ. № 5, I—III კლას. სდ. 5 ს. 7 წ. 2) საფოსტ. № 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი № 1, I—III კლ. დამ. 9 ს. 56 წ. 4) შერეული № 07, IV—III კლ. დამის 9 ს.

ერევან-ჯულფიდან: საფოსტო მატ. № 72/73, I—II კლ. 8 ს. 25 წ. 2) სამგზავრ.-საკონ. № 80/81, II და III კლ. დდ. 1 ს. 40 წ.

ბორჯომიდან: სამგზ. № 61/ 0, I—II კლ. დილ. 8 ს.

შენიშვნები: 1 გადაუჯდომლად პირდაპირ მგზავრობა ტფილისი-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებით).

გემების მიმოსვლა შავ ზღვაზე.

(ზამთარში).

რუსეთის საზოგადოებისა.

ბათომიდან გადის: ოდესისაკენ პირველი—საფოსტო-სახალხო გემი სამშაბათობით ღამის 1 საათს, ყველა ზღვის პირა ქალაქს გაივლის. მეორეც—ხუთშაბათობით, ღამის 1 საათს. პირ და პირ—სოხუმით, გაგრათი, სოჭით, ტუაფსეთი, ნოვოროსიისკითფეოდოსიით, იალტათი, სევასტოპოლითა და ევპატორიით შაბათობით, შუადამეს.

სახალხო გემები ყველა ზღვის-პირა ქალაქებზე ორშაბათობით და სამშაბათობით ნაშუადღევის 2 საათს.

სახალხო-საქონლის გემები — ესენიც ყველა ქალაქისკენ გაივლიან ოთხშაბათობით და პარაკსეობით შუადამეს.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები

1—2 **გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).

8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).

10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 715)

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა. 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში) თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჭიროებისა, [illegible] დახმარება [illegible] შესაძლებელია.

სასანიტაროო ბიბლიოთეკა

უბნები: 1, 2—9 **ბ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვა** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

9, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 17, ტელ. 327).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სააანიტაროო წესიერების შემოღებაში და **სადაც-კი** ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტაროო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჰმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველან შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩ. 5 და მალაკანის მოედანზე.

განცხადებანი

საჩუქარი
ამ გაზეთის მკითხველთ
650 ნივთი მხოლოდ 3 მ. 90 კ.

1. **მშვენიერი სათი-ანკერ** სწორედ მოსიარულე, ექვსი წლის თავდებობით.
2. **საუცხოო საქალებო ბეჭედი,** ამერიკულ ბრილიანტით.
3. **ჩინებული მანიკი,** მრავალ ადმოსავლ. მარგალიტებით და პატენტ. შესაკრავით.
4. **მოხდენილი და ლაზათიანი ქალის სამაჯური** ამერიკულ ოქროსი „დუბლე“, მშვ. ამერიკ. ბრილ.
5. **ჯიბის ლამაზი „ნესესერი“** ოთხის ნივთით.
6. **ერთი წყვილი საყურე** საუცხოვო ამერიკულ ბრილიანტით და პატარა შესაკრავი.
7. **მშვენიერი და ლაზათიანი** ტყავის საფულე.
8. **ალბომი 50 საყურადღებო სანახაობით.**
9. **მუშტუკი-აპარატი ექიმ კოხისა,** თუთუნის მავნებლობის ამცილებელი.
10. **მექანიკ. დასაკეცი მაკრატელი** მშვენიერის ბოდით.
11. **და კიდევ 100 ეტი სხვა საგულისხმო და სასარგებლო ნივთი.**

სულ, 650 ნივთში, ხაზიანად მხოლოდ 3 მან. და 90 კაპ. (მხოლოდ საათი ღირს ამ ფასად).

ვინც ერთიდან სამ წყვილს მაინც დიბარებს, გასაგზავნ ხარჯად იხდის 55 კაპ., ციმბირში კი—95 კაპ.

მისამართი: O-ву „Меркурій“. Лодзь, Л. 5. თუ არ მოიწონებთ, ფულს უკანვე დაგიბრუნებთ. წერილები გთხოვთ დასწეროთ რუსულად. Метиль и Ко.

1920 (3—1118—1)

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დ ი ლ ი თ:

„606“—11—12 ს. შეშხაკუნება
კონსულტაციურად.

ბ. ა. ნავასარდიანი; 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. ბგასაროვი: 9—10 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო. ქალებისა და ბავშვებისა,

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.

კბილის საექიმო კაბინეტი **ი. ა. ფრანკისა** 9—2 ს. წამლობა, პლომბის გაკეთება და ხელოვნური კბილების ჩასხმა.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

ი. ა. ფრანკი: 5—7 ს.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთთვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ. 107420)

გაღლსნოგა ძმ. ავსარაქისოვეგისა სად. სპრაში

კოვკ. რკ. გზ. ჰგზავნის **ხეხილის ნერგებს** საზღვარ-გარეთულს, რუსულ, ადგილობრივ იაუკეთესო ჯიშისას და **მოსართავ ხეებსა** და **მცენარეებს** ხელმისაწვდომ ფასებში. მსურველთ კატალოგები უფასოდ ეგზავნებოთ. მისამართი: O-. Скра З. Ж. Д. Авсаркисову.

ფირმა დაჯილდოვებულია ვერცხლის დიდ მენდლით 1911 წ. **მოსკოში** გამართულ სრულიად რუსეთის ბაღოსნობის მოყვარეთა საზოგადოების საიუბილეო გამოფენაზე. და **ოქროს დიდ მენდლით ტფილისში** პირველ მორიგ ხილის ბაზარ-გამოფენაზე. (6—1120—1

დაზღვევა მეორე მოგებიან ბილეთებისა 5 მ. 60 კ.

5% მოგებით, ტირაჟში გამოსვლიდან 1912 წ. 1 მარტს.

მოითხოვეთ პროსპექტები მომგებიან ბილეთების სყიდვისა ღირებულების ნაწილ-ნაწილად გადახდით

საბანკო სახლის კავკასიის სააგენტოში ლ. ვ. ლანდაუ და ამხ.

ტფილისი, მიხეილის ქუჩა, № 65. ტელეფონი № 11—17. (3.1 22.1)

მიიღება 1912 წ. ხელის მოწერა სახალხო საზოგადო-საეკონომიო ჟურნალ

წელიწადი კოოპერაციაზე მეორე

პროგრამა: 1) მოწინავე წერილები საკოოპერაციო და საეკონომიო საკითხებზე, 2) წერილები სამუნიციპალო საქმეებზე, 3) კორესპონდენციები და კოოპერატიულ ცხოვრების მიმოხილვა, **სურათებით;** 4) გამოჩენილ კოოპერატორებისა და საზოგადო მოღვაწეების ბიოგრაფია, სურათებით; 5) მიმდინარე ცხოვრება; 6) წერილები ჯანმრთელობაზე; ნარევი და სხვა. განსაკუთრებული ყურადღება იქნება მიქცეული კოოპერაციის პრაქტიკულ კითხვებზე. **ჟურნალში** ღებულობენ მონაწილეობას საუკეთესო მწერლები და საზოგადო მოღვაწენი. ჟურნალი ღირს ქუთაისში და ქუთაისს გარეშე, გაგზავნით: წლიურად 3 მ., ნახევარ წლით 1 მ. 75 კ., თვიურად 40 კ. ჟურნალი ცალკე ნომრებად არ გაიყიდება.

წლიური ხელის მომწერლები მიიღებენ 1912 წლის განმავლობაში ჟურნალის 24 №№ და რამდენიმე მთლიან **ბროშურას** დასავლეთ ევროპისა და რუსეთის კოოპერატიულ ცხოვრებაზე და პრაქტიკულ საკითხებზე. გარდა ამისა ყველა ხელის მომწერი, რომელიც მოაწერს ხელს ჟურნალზე თებერვლის 15-მდე და შემოიტანს სრულად წლიურ გადასახადს ათი შაურის დამატებით /დაუმატებლად ღებულობენ ისინი, ვინც მოაწერეს ხელიც 1911 წლის 31 იანვრამდე) მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მიიღებენ საჩუქრად მოსკოვის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირის დამაარსებელის, **ნ. პ. გიბნერის** საუცხოო წიგნს ქართულად: „კოოპერაციის სისტემები“, რომელიც ცალკე ეღირება 1 მან. 20 კაპ.

1911 წლის ნომრებში მოთავსებულია, სხვათა შორის, შემდეგი წერილები: „დარიგება მომხმარებელ საზოგადოების დამაარსებელთათვის“, „გამგეობის პირველი ნაბიჯები“, „სასოფლო-სამეურნეო სინდიკატები საფრანგეთში“, „სახელოსნო კოოპერატივები“ გამოჩენილ კოოპერატორების ბიოგრაფიები, ლევ. ტოლსტოის, პროფ. კაბლუკოვისა და სხვა გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა და პროფესორ-ეკონომისტების აზრი კოოპერაციაზე; წერილები ნოე ჟორდანიასი, თ. ლონტის, დ. ღამბაშიძისა (ლონდონიდან), ვ. ტოტომიანცისა და სხვა. 1911 წლის კომპლექტი ღირს 1 მ. 50 კაპ.

ადრესი წერილისა და ფულის გამოსაგზავნად: Кутаисъ, редакція журнала „Кооперація“.

(3—1107—3)